გაზეთი ხვალის, „ვერსიას“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№118 (1013) 1 – 2 დეკემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ლიტო გელოვანი

## ჰარი პოტერი და დაქინებული მზერა



გვ. 2

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

# ვეტო ვეტოსთვის დაძლეულია!



## რომელი ქართული „ენჯეოები“ მოქმედებენ ტერორისტული და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების საფარქვეშ

ცხინვალში რუსეთის გაძლიერებული სპეცრაზმი შეჰყავთ — „მოსმენების გასაღების“ სახიფათო თამაშები



## „კიტოვანი და სიგუა ჩემთვის ჯაბა იოსელიანზე ბევრად საზიზღრები არიან!“

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

გვ. 6–7

როგორ გადაურჩა სანდრო ბრეგაძე გლდანის ციხეში წამებას

## დასაქმების შანსი „ვისოლ ჯგუფისგან“

გვ. 9

კომპანიამ სტუდენტებისთვის დასაქმების ფორუმი მოაწყო

## „სიცოცხლის ხის“ თანადაფინანსებით საქართველოში ქესტების პირველი ონლაინლექსიკონი და ვებგვერდი შეიქმნა

გვ. 9

## იეზიდი „ჩაპალა“ და „კაიბიქობაზე“ მეოცნებე „მალალეტკები“ ანუ „ვეფხისტყაოსანმა“ რა ჰქმნა?!



გვ. 8

პატიმრის დღიური

თიბისი ბანკი
TBC BANK
2014 წლის საუკეთესო ბანკია საქართველოში

დიტო გელოვანი

**„დიდად საკვირველია, რად შეიყვარა“, — ეუბნებოდა კონჩეტინასა და კუმეოს დანახვაზე საყელოშებნეული ვინსენტე ცილიოს, ის კი პასუხად: „მამაკაცადაც დიდი ვერაფერიშვილი რომ არ ყოფილა?“ „რა იცი“... „აგერ, ლაურას ვთხოვე და გამიგო“... „ეგება იმ ერთხელ ხასიათზე არ გახლდათ“. „მეც ეგ ვიფიქრე, მაგრამ ჯანეტმაც დამიზუსტა“. ხოლო კონჩეტინა ლორთქო ბალახივით ეფერებოდა გულის რჩეულის ეკლოვან თმას — „ცუნცულ, გიყვარვარ?“ „რო არ მიყვარდე, — ამაყად მიუგებდა კუმეო, — ცოლად წაგიყვანდი?“**

***(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)***

# ჰარი პოტერი და დაჟინებული მზერა



მთელი კვირა ვემზადებოდი, რომ გასული კვირის ამბებზე წერა, ძირითადად, მოსმენებსა და რუსულ-აფხაზურ ხელშეკრულებაზე მომიწევდა, მაგრამ გამოხტა „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ და ყველაფერი გადაფარა. რა მოსმენები! რის ტერიტორიული მთლიანობა! ქალთა საინფორმაციო ცენტრმა იმდენი მოახერხა, რომ იძულებული ვარ, ინფორმაცია მათ მიერ ჩატარებული კვლევის შესახებ, სრულად, ყოველგვარი ტექსტზე ძალადობისა და დეფლორაციის გარეშე, ზუსტად ისე შემოგთავაზოთ, როგორც ეს ჩემმა მეგობარმა სააგენტომ გააკეთა:

„2014 წლის სექტემბერში ქალთა საინფორმაციო ცენტრმა თბილისის მეტროს სადგურებში სექსუალური შევიწროების სწრაფი შეფასება ჩაატარა. გამოკითხვაში 200 ქალი მონაწილეობდა.

„200 რესპონდენტიდან 90-ს მეტროში მგზავრობისას სხვადასხვა სახის სექსუალური შევიწროება განუცდია. რესპონდენტები სექსუალურ შევიწროებას განიცდიდნენ, ძირითადად, მეტროს მატარებელში — 78%, ბაქანზე — 14%, შესასვლელის მიმდებარე ტერიტორიაზე — 14% და 6% სადგურის შიგნით სხვა ადგილას“ — ნათქვამია კვლევაში.

კვლევის მიხედვით, შევიწროების ყველაზე ხშირი სახე იყო დაჟინებული მზერა (73%), სექსუალური კომენტარი/ხმა (31%), შეხება (38%), მიწოლა/სხეულზე ხახუნი (14%), საკუთარ სასქესო ორგანოებზე შეხება, დისკომფორტის შექმნის მიზნით (6% ) და სხვა (14%).

სექსუალური შევიწროების ფაქტზე რეაქცია არ ჰქონია გამოკითხულთა 78,9%-ს.

ყველაზე ხშირად სექსუალურ შევიწროებას რესპონდენტები საღამოს საათებში განიცდიდნენ — 65,6%.

„რესპონდენტთა 85.5% ამბობს, რომ, როდესაც მეტროში სექსუალურ შევიწროებას განიცდიდნენ, მათ არავინ დაეხმარა. მხოლოდ 14,47%-ს დაეხმარნენ, თუმცა პოლიციისთვის არც ერთს არ მიუმართავს“.

ქალთა საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლების თქმით, მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ არც ერთ რესპონდენტს არასდროს მიუმართავს პოლიციისთვის დახმარებისთვის, სექსუალური შევიწროების შემთხვევებში. ეს ფაქტი მოწმობს, რომ სექსუალური შევიწროების შესახებ საზოგადოების ცნობიერება დაბალია და ამ პრობლემას სერიოზულ საფრთხედ ან პრობლემად არ აღიქვამენ. სწორედ ამიტომ კვლევის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ამ პრობლემის შესახებ საჭიროა საზოგადოების ინფორმირება და კანონი, რომელიც სექსუალური ძალადობის ფაქტების გამოვლენასა და პრევენციას შეუწყობს ხელს“.

ა, ბატონო, ამაზე მეტი და უარესი რაღა უნდა მოხდეს — მეტროში ჩასული ქალების დიდი ნაწილი მეტროდან გაუპატიურებული ამოდის, არის ესკალატორზე ერთი კრუსუნი, ტანსაცმლის სწორება და დეტალების გახსენება. ნუ, მერე, ალბათ, შთაბეჭდილებებსაც უზიარებენ ერთმანეთს და იქნებ, კარგი აბორტმახერებისა და სამშობიაროების მისამართებსაც აზუსტებენ.

კვლევის შედეგების გაცნობის შემდეგ, მინდოდა, განგაშის ზარები შემომეკრა, მერე ეს ზარები დამერისხებინა და განრისხებულს დამეძახა: „ფურთხის ღირსი ხარ შენ, თბილისის მეტროპოლიტენის მომსახურებით მოსარგებლე ქართველო მამაკაცო“. მინდოდა, მაგრამ ჟურნალისტური ეთიკის ქარტია გვასწავლის, რომ აუცილებელია გადამოწმება. მართლაც, აბა, ვის ენდობი დღევანდელ დროში? ჰოდა, გადავამოწმე. გამოვკითხე მეგობრები, მეზობლები, ნაცნობები, ნათესავები... ერთი-ორჯერ, ვითომ ასანთი არ მქონდა და სანამ ჯიბეებს იქექავდნენ, კითხვა რამდენიმე გამვლელსაც დავუსვი. კითხვა იყო ერთი: „სექსუალურად შეგივიწროვებიათ თუ არა უცხო ქალბატონი თბილისის მეტროს სადგურებში?“ შედეგმა, სიმართლე გითხრათ, განმაცვიფრა.

ჩემს მიერ გამოკითხულთა 73-მა პროცენტმა თქვა, რომ მეტროში ჩასვლისთანავე ქალებს დაჟინებით აშტერდება, ხოლო 31-მა პროცენტმა აღიარა, რომ ქალის დანახვაზე თავისდაუნებურად ყელიდან ღმუილი ამოსდის. და, რაც ყველაზე საინტერესოა, ჩემს მიერ გამოკითხულმა გაუპარსავმა და ბანჯგვლიანმა არსებებმა, საინფორმაციო ღრუდან არყის ოხშივარი რომ ამოსდიოდათ, აღნიშნეს, რომ ასე მხოლოდ მეტროთი მგზავრობისას ემართებათ. „თავადაც ვერ ამიხსნია, — აღნიშნა ერთ-ერთმა რესპონდენტმა, — თქვენ წარმოიდგინეთ, როდესაც სამარშრუტო ტაქსით ვმგზავრობ და სალონში სულ ტიტველი ქალები სხედან და დგანან, მე ჩემთვის ვზივარ და ტოტალიზატორის კუშებზე ვფიქრობ. საკმარისია, მეტროში ჩავიდე და თურქულჩანთიანი, ბაზრობიდან მომავალი ქალი დავინახო, რომ თვალები თავისთავად მეჭყიტება, ყელიდან ღმუილი ამომდის და საკუთარ ხელებს ვერ ვაკონტროლებ“.

ამის შემდეგ რაღა აზრი ჰქონდა იმის კვლევას, მეტროს რომელ ადგილებში აცეცებენ თვალებს ქართველი მამაკაცები? პასუხი წინასწარვე ვიცოდი — „მეტროს მატარებელში — 78%, ბაქანზე — 14%, შესასვლელის მიმდებარე ტერიტორიაზე — 14% და 6% — სადგურის შიგნით სხვა ადგილას“.

ოღონდ, რას ნიშნავს „სადგურის სხვა ადგილას“ ეს მთლად ბოლომდე ვერ გავიგე და ამიტომ საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩავატარე — მეტროში ჩავედი. როგორც მივხვდი „სხვა ადგილებში“ იგულისხმება ესკალატორი და ესკალატორის მეთვალყურის ჯიხური.

ეს ყველაფერი კარგი (უფრო სწორად — არც ისე კარგი), მაგრამ სანამ თქვენ მკითხავთ, თუ როგორ ვიქცეოდი მეტროში ექსპერიმენტის დროს მე — არყისოხშივარიანი, გაუპარსავი და ბანჯგვლიანი არსება, სჯობს, თავადვე გითხრათ: ქალების 73 პროცენტს დაჟინებით ვაშტერდებოდი, 31 პროცენტის დანახვაზე სექსუალურ კომენტარს ვაკეთებდი, 14 პროცენტს კი ჩემდაუნებურად გავეხახუნე. სულ, მეტროში ერთ ჩასვლაზე, ორასამდე ქალი გავაუპატიურე.

და, რაც მთავარია, მეტროდან ამოსულმა სამარშრუტო ტაქსით ვიმგზავრე. ჩემთან ერთად მგზავრობდნენ შარლიზ ტერონი, ჯესიკა ალბა და ბრიჯიტ ბარდო (ახალგაზრდობაში). ყველანი ტიტვლები. მე კი ვიჯექი და საკუთარ თავს ვსაყვედურობდი, რატომ არ ავიღე „ლივერპულის“ ერთიანი, „არსენალის“ ორიანი და „ჩელსის“ იქსი.

დამეთანხმებით, რომ საზოგადოების ბანჯგვლიან ნაწილში არსებული ფსიქომეტროსექსუალური განწყობა უნდა შეფასდეს მხოლოდ ერთი სიტყვით — „კატასტროფა“!!!

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, სასწრაფოდ უნდა შემოვკრათ განგაშის ზარებს და შიგადაშიგ ეს ზარები უნდა დავარისხოთ კიდეც, მაგრამ უნდა დავარისხოთ ფრთხილად, რომ არ გატყდეს. პრობლემა ბევრია, ზარები კი ცოტა გვაქვს. სად არის კაი ცხოვრება და ბევრი ზარი? არადა, პრობლემა მართლაც ბევრია. მაგალითად, გასულ კვირაში კვლავ წამოყო თავი (ყელი მოიღერა) კამპანიამ „ეს შენ გეხება, ისევ გვისმენენ“.

მინდა, გამოვხატო აღშფოთება და ამ კამპანიის მონაწილეებს ვუთხრა: „აი „ეგ“ ბებიათქვენებს ეხება!!!“ ასევე, მინდა, გამოვხატო შეშფოთება — მათ, მართლაც, ისევ უსმენენ!!!

**რამდენიმე სათაური:** „არასამთავრობოებმა ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის კანონპროექტის მიღება გააპროტესტეს“; „ნინო ლომჯარია დავით უსუფაშვილისგან „უფრო მეტ პრინციპულობასა და თანმიმდევრულობას“ ელოდება“; „არასამთავრობოების ვარაუდით, ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის პროექტს, მიღების შემთხვევაში, პრეზიდენტი ვეტოს დაადებს“; „ეკა გიგაური — იდეურად გიორგი მარგველაშვილის ინიციატივა ლოგიკურია“...

განხილვას არ შევუდგები. ისედაც კარგად მოგეხსენებათ, რა წარადგინეს ფოფხაძე-ბესელია-სესიაშვილმა, რით უპასუხა ხმალაძემ, რა უნდოდათ ასოთამწყობ-ენჯეოშნიკებს, რა მიიღეს და რას რა დაადო პრეზიდენტმა მარგველაშვილმა. ეგ არის, რომ არც ჩვენ და, რაც ყველაზე საგულისხმოა, არც ზემოჩამოთვლილებმა, არ იციან, რა უნდათ და როგორ უნდათ. ვიცით, რომ ყველას სათავისოდ უნდა, მაგრამ არ ვიცით, ვის დარჩება გამარჯვება და ვის — ის, რაც ბებიამაგათებს ეხება. ვნახოთ. დავსხდეთ და ვუყუროთ, რა მოხდება. ჩვენ არაფერი შეგვიძლია. საერთოდაც, შეგიძლია მაშინ, როცა არჩევანის საშუალება გაქვს, ჩვენ კი რა არჩევანი უნდა გავაკეთოთ! ირაკლი სესიაშვილი თუ ნუგზარ წიკლაური? მანანა კობახიძე თუ ხათუნა გოგორიშვილი? ნანა ყეენიშვილი თუ კობა სუბელიანი? კობა ხაბაზი თუ ლადო სადღობელაშვილი? აკაკი გოგიჩაიშვილი თუ გია ჯაჯანიძე? ლია მუხაშავრია თუ შორენა შავერდაშვილი?

ჩემი დაჟინებული მზერა თავისუფლების ქანდაკებისკენ არის მიმართული, მაგრამ თან ვფრთხილობ — ემანდ, ეკა გიგაურმა რამე არ დამაბრალოს.

ნინო ბურჯანაძე — „მე რომ ვყოფილიყავი ხელისუფლებაში, რუსეთსა და აფხაზეთს შორის ხელშეკრულება არ გაფორმდებოდა“...

პოლიტიკურად სექსუალური განცხადებაა. რატომ არ ავირჩიე ნინო ბურჯანაძე, რატომ არ დავწერე „ლივერპულის“ ერთიანი... ეგ რომ ხელისუფლებაში ყოფილიყო, არ მოხდებოდა ბაზალეთის ომი, არ წავაგებდით გარნისის ბრძოლას... რატომ არ ავიღე „ჩელსის“ იქსი, რატომ ჩაერია მანდატური აკაკი მინაშვილისა და მერაბ კაჭახიძის ჩხუბში, რატომ არ არის სიცოცხლე მარსზე...

„მანანა კობახიძემ მანდატურის სამსახურს სხდომათა დარბაზიდან უმცირესობის წევრების გაყვანისკენ მოუწოდა“, — ესეც გვარიანად სექსუალურია, ოღონდ — გაუკუღმართებულად სექსუალური. არანაირი რომანტიკა — „ეკა ბესელია: „ჩვენ რომანტიულ კანონებს ვერ მივიღებთ“. არანაირი რომანტიკა, არანაირი გრამატიკა და არანაირი მათემატიკა — „პაატა ბარათაშვილი: „იმ რაოდენობის ხალხს, რაც 15 ნოემბრის აქციაზე მივიდა, ზვიად გამსახურდია დღეში სამჯერ აგროვებდა“.

ბაზარი.... ბაზარი არ არი!!! იმ რაოდენობის ხალხს გამსახურდია დღეში სამჯერ აგროვებდა კი არა და, გამსახურდიას კარვის ქალები შიმშილობის დროს მაგ რაოდენობის ხაჭაპურს დღეში სამჯერ მიირთმევდნენ, შიმშილობის შემდეგ კი — დღეში ხუთჯერ. რა დრო იყო... ახლანდელი დრო დრო? ახლანდელი ქარი ქარია და ღრუბელი ღრუბელია? მზეც რაღაც ისე ანათებს და რაღაც ისე აღარ ღამდება, როგორც მაშინ, სანამ ტოტალიზატორი ფეხბურთს წაგვართმევდა, სილიკონი ქალებს, ფონოგრამა მუსიკას და ათასნაირი დონორი ფონდი ენჯეოშნიკებად გადაცეულ ახალგაზრდობას.

„ჩვენ უნდა მივიღოთ თქვენგან რჩევები, რეკომენდაციები, კრიტიკა. არასამთავრობო სექტორი ქვეყანაში დღითიდღე უფრო ვითარდება. ერთი მხრივ, საინტერესოა, თუ რას ფიქრობთ თქვენ და როგორ მუშაობთ ამ თემებზე, მეორე მხრივ კი, გვაქვს ვალდებულება, რომ ევროპასთან ინტეგრაციის გზაზე იყოთ ჩართული და თქვენი მოსაზრებები და რეკომენდაციები მოვისმინოთ“, — აღნიშნა ვიქტორ დოლიძემ“ .

შეეეენც, ვიქტორ? „ოქროს კერპს“ გავიხსენებ — „შენც, ბრუტუს? შენც მიეყიდე ბოლშევიკებს?!“

აღარც მადლი და აღარც მარილი, ზედ რომ მოაყარო. აჰა: „შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, უვარგისი მარილი ექსპორტიორ ქვეყანაში დააბრუნეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, აღნიშნული სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გაფორმების მთავარი სამმართველოს, საქონლის გაფორმების სამმართველოს ქუთაისის განყოფილებაში, კომპანიის მიერ იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში დეკლარირებული იყო თურქეთიდან შემოსული 26 280 კგ მარილი“.

ამ ქვეყანაში იოდის დეფიციტია, იოდის დეფიციტი იწვევს ინტელექტის ნაკლებობას — ჭკუასუსტობას, რასაც არჩევნების დროს ვამჟღავნებთ, იწვევს სინდის-ნამუსის დეფიციტს, რაც არჩევნების შემდეგ ვლინდება — „ჩვენ ყველამ ვიცით, რომ პირადი ცხოვრება, ეს არ არის აბსოლუტური უფლება, ისევე, როგორც სიცოცხლის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება და შესაძლებელია მათი შეზღუდვა კანონით, — აღნიშნული განცხადება საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, მანანა კობახიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გააკეთა, სადაც დილიდან მსჯელობის საგანი ფარული მოსმენების ე.წ. გასაღებზე ბესელია-ფოფახაძე სესიაშვილის საკანონმდებლო პაკეტია“.

ისა და... რატომ არ ენდობიან ვიღაც-ვიღაცები ჭიკაიძეს და რატომ ენდობიან კოჟორიძეს? რატომ არ ენდობიან მათი ოპონენტი ვიღაც-ვიღაცები მათივე მოყვანილ მარგველაშვილს და რატომ ენდობიან 106 წლის ქალების გაუპატიურებაზე მოყოლილი ზღაპრის ავტორს, მარიკა ვერულაშვილს.

„ვისი ვიოლინო ვის როიალშია“, — ძალიან რბილად არის ნათქვამი და ძალიან ზუსტი რამ იგულისხმება.

ქმნიან ინსტიტუციებს და, თან, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ხელისუფლებაში დაბრუნდეს ძალა, რომლისთვისაც მხოლოდ ერთი ინსტიტუცია არსებობს — ძალადობა.

„მეგის ქარდავას, წამების საქმეზე, ზუგდიდის სასამართლომ 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მტკიცებულებები და დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობაში ბრალდებული, შს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე მეგის ქარდავა დამნაშავედ სცნო. სისხლის სამართლის კოდექსის 1443 მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტით. „სასამართლომ მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, საბოლოოდ ამნისტიის აქტის გამოყენებით სასჯელის სახით 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, ასევე 2 წლითა და 3 თვით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება და ჯარიმის სახით დაეკისრა 3000 ლარი“, — აცხადებენ პროკურატურაში. ამჟამად მეგის ქარდავა მიმალვაში იმყოფება და მასზე გამოცხადებულია ძებნა“, — იტყობინებოდა ის, ბოლომდე რომ ვენდობი.

გამოცხადებულია ძებნა, მაგრამ მხოლოდ გამოცხადებულია თუ მართლა ეძებენ? ეს არის კითხვა, რომელიც მაწვალებს, მაგრამ სხვაც მაინტერესებს. სადმე რომ გადავაწყდე მეგის ქარდავას და სასტიკად რომ ვაწამო, რას მომისჯიან? გაფიქრებაც კი მზარავს. იქნებ, ინანონ კიდეც, საქართველოში სიკვდილით დასჯა რომაა გაუქმებული.

სასამართლო, რომელმაც „სრულად გაიზიარა პროკურატურის მტკიცებულებები“ და მაინც „5 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, საბოლოოდ ამნისტიის აქტის გამოყენებით სასჯელის სახით 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა“.

***დასასრული მე-3 გვერდზე***

ნინო კომახიძე
599-95-33-16

# ვეტო ვეტოსთვის დაძლეულია!

**„მოსმენების კანონის“ მოსმენები უსაშველოდ გაიწელა — მთელი კვირა პარლამენტის კომიტეტებმა ხან თბილისში იმსჯელეს, ხანაც — ქუთაისში, შემდეგ კი არაერთ პლენარულ სხდომაზე. ამ პროცესში აქტიურად ჩართული არასამთავრობოები ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის კანონპროექტის მიღებას ყველა ფორმით აპროტესტებდნენ. შეიმუშავეს საკუთარი ვარიანტიც, რომელიც საკანონმდებლო წინადადებად ვერ იქცა. შემდეგ, როცა ზემოხსენებული კანონი პირველი მოსმენით დამტკიცდა, ქუთაისში საპროტესტო აქციაც ჩაატარეს და განაცხადეს, აქციებს თბილისშიც გავაგრძელებთო. არასამთავრობო სექტორი ე.წ. გასაღების კვლავ შსს-სთვის დატოვებას აპროტესტებდა, კანონპროექტს დრაკონულს უწოდებდა და პრეზიდენტს ვეტოს დადებისკენ მოუწოდებდნენ, რაც მოგვიანებით, ასეც მოხდა. მანამდე კი, პარლამენტმა ხან პოეტურად, ხან შექსპირის უკვდავი ფრაზების გაცოცხლებით და ხანაც კოლეგების ფიზიკური შეურაცხყოფით, სამდღიანი ვნებათაღელვა გამოიარა.**

„ძალიან გვიყვარხართ, ბატონო გიორგი და გვეწყინა, ასეთი გადაწყვეტილება რომ მიიღეთ. ვეტოს დარტყმა თოხის დაკვრა ხომ არ არის?!“



პარასკევს, 28 ნოემბერს, ბიუროს სხდომაზე ერთმანეთს, თინა ხიდაშელის ხმაურის გამო, ჯერ ცოლ-ქმარი რესპუბლიკელები დაუპირისპირდა, შემდეგ — ხიდაშელი-ბესელია. ხიდაშელმა მოითხოვა, დეპუტატებს კანონპროექტში ცვლილებების გაცნობისთვის ერთი საათი მოგვეცითო, ბესელიამ კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ამისთვის მთელი ღამე გქონდათ და შეგეძლოთ, მაშინ გაცნობოდით, ახლა დრო არ ითმენსო. ორ ცეცხლსშუა მოყოლილმა დავით უსუფაშვილმა კი, არც ერთ ქალბატონს აწყენინა და არც მეორეს — ცვლილებების გასაცნობად ნახევარი საათი გამოყო. ნახევარ საათში პლენარული სხდომაც დაიწყო, სადაც უმრავლესობის სამეულმა საკუთარი „ორგასაღებიანი“ კანონპროექტი, ამჯერად, მეორე მოსმენაზე წარადგინა. როგორც ბესელიამ წარდგენისას განაცხადა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, თამარ ქალდანის რჩევები და შენიშვნები გაითვალისწინა და ცვლილებების სახით, პროექტშიც შეიტანა. თავისუფალმა დემოკრატებმა და რესპუბლიკელმა თინა ხიდაშელმა დისკუსიაში მონაწილეობა საერთოდ არ მიიღეს. ამავე სხდომაზე, მრავლისმომცველი სიტყვით დავით უსუფაშვილიც გამოვიდა და მოსმენების შესახებ კანონპროექტზე თავისი მოსაზრება დააფიქსირა.

კანონი, ცხადია, მეორე მოსმენითაც გავიდა, შემდეგ, უწყვეტ რეჟიმში, ადამიანის უფლებათა კომიტეტის და კიდევ ერთი პლენარული სხდომა ჩატარდა, სადაც კანონი მესამედ უნდა განეხილათ. სხდომა იმავე საღამოს, 17:00 საათზე დაინიშნა. მესამე მოსმენითაც, ოთხივე პაკეტი განიხილეს და 73 ხმით, 32-ის წინააღმდეგ პარლამენტმა უმრავლესობის სამეულის კანონპროექტი დაამტკიცა. ამით პარლამენტმა ამ კანონზე მუშაობა დაასრულა და ოთხივე კანონპროექტის ტექსტი პრეზიდენტს იმავე დღეს, 28 ნოემბერს გადაუგზავნა. პრეზიდენტს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ კანონპროექტზე ხელმოსაწერად ათდღიანი ვადა ჰქონდა, ან შეეძლო, კანონისთვის ვეტო დაედო და პარლამენტისთვის მოტივირებული შენიშვნები დაებრუნებინა. ასეც მოხდა: მეორე დღეს გიორგი მარგველაშვილმა „მოსმენების კანონს“ ვეტო უკვე მეორედ დაადო და 29 ნოემბერს, 20:00 საათზე დეპუტატებს საკუთარი შენიშვნები გადაუგზავნა, შენიშვნებს კი, მეორე დილას, პარლამენტში წარმომადგენელი, იურისტი გიორგი კვერენჩხილაძე დააწია. პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული ვარიანტით, ე.წ. ორგასაღებიანი ანუ ორდონიანი კონტროლის სისტემა რჩებოდა, თუმცა ერთი გასაღები სასამართლოს უნდა ჰქონოდა, რომელიც მხოლოდ საკუთარი ელექტრონული ნებართვის გაცემის შემდეგ მისცემდა საგამოძიებო უწყებებს ფარული მოსმენების საშუალებას, სასამართლოს კი, თავის მხრივ, როგორც რეალური გარემაკონტროლებელი, ზედამხედველობას კვლავ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი გაუწევდა. პრეზიდენტის თქმით, ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის პროექტით, „გასაღების“ უშუალო „გადამტრიალებელი“ ანუ ინსპექტორი, მაკონტროლებელი კი არა, აღმასრულებელი გამოდიოდა, თუმცა ამ მხრივ, თავად პრეზიდენტის შემოთავაზებაც გაუგებარი იყო — სასამართლო ხომ ისედაც გასცემს ნებართვას ფარულ მოსმენაზე, მარგველაშვილის შენიშვნებით კი, მას ეს ფუნქცია, ცხადია, რჩებოდა და „გასაღების გადამტრიალებლის“ ფუნქციაც ემატებოდა, რაც მარგველაშვილის ლოგიკით, მაინც აღმასრულებლად აქცევდა.

ამის შესახებ პარლამენტში, 30 დეკემბერს, დილიდან გიორგი კვერენჩხილაძეც საუბრობდა. მისი განმარტებით, პრეზიდენტის ვარიანტით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისა და შესაბამის ტექნიკურ საშუალებებზე წვდომის შესაძლებლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს რჩებოდა, თუმცა ამას მხოლოდ სასამართლოს ელექტრონული თანხმობით შეძლებდა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი კი ფარული მოსმენა-მიყურადების პროცესის გარეკონტროლის ინსტიტუტს წარმოადგენს.

მიმდინარე პროცესებს შს მინისტრის პირველი მოადგილე, ლევან იზორიაც გამოეხმაურა და პრეზიდენეტის მიერ კანონზე ვეტოს დადების გადაწყვეტილებას უპასუხისმგებლო უწოდა: **„დეტალს, რომ გასაღები მოსამართლის ხელში უნდა იყოს, კონტრარგუმენტი აქვს. როგორ შეიძლება, ნებართვის გამცემმა ორგანომ, ამ შემთხვევაში, სასამართლომ, თავისივე თავი აკონტროლოს? ეს იურიდიული ნონსენსია. გადაწყვეტილება მოუმზადებელია. ვეტო, სამართლებრივი ბუნებით, პირველ რიგში, ნიშნავს სამართლებრივ შენიშვნებს, არადა, პრეზიდენტმა ვეტო ჯერ ზეპირად დაადო და შენიშვნები რამდენიმე საათის მერე მოამზადა. ქვეყნის უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებულ თემებთან ასეთი მოუმზადებელი და მეტიც, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ქვეყნის უსაფრთხოებას კითხვისნიშნის ქვეშ აყენებს!“**

30 დეკემბერს მოვლენების განვითარების ორი ვარიანტი რჩებოდა — პარლამენტი ან პრეზიდენტის შენიშვნებს გაითვალისწინებდა, ან ვეტოს დაძლევდა, რაც უკვე დამტკიცებული პროექტის ხელახლა დამტკიცებას ნიშნავდა. 30 დეკემბერს, დილიდან, დეპუტატები, კვერენჩხილაძის არგუმენტების მოსმენასთან ერთად, საკუთარ მოსაზრებებსაც გამოთქვამდნენ.

გია ჟორჟოლიანმა განაცხადა, პრეზიდენტის საქციელი უმრავლესობასთან დაპირისპირებაში შესვლას ნიშნავსო. პრეზიდენტის საპარლამენტო წარმომადგენელი, კვერენჩხილაძე კი, დეპუტატებმა, პირდაპირი მნიშვნელობით, დაკითხეს: რამდენ ხანს და ვისთან ერთად იღებდა პრეზიდენტი კანონისთვის ვეტოს დადების გადაწყვეტილებას, შენიშვნებზე მუშაობისას გაიარა თუ არა მარგველაშვილმა კონსულტაციები სასამართლოსა და შს სამინისტროს წარმომადგენლებთან, რატომ ეწინააღმდეგება პრეზიდენტი საკუთარი შენიშვნებით თავისივე ლოგიკას და ა.შ. პრეზიდენტის წარმომადგენელი აცხადებდა, დრო ძალიან ცოტა გვქონდაო და კანონის პრეზიდენტისეულ კონცეფციას ხელახლა გვიყვებოდა. კვერენჩხილაძის გამოსვლის შემდეგ, ეკა ბესელიამ, დასკვნით სიტყვაში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის პოზიცია გაგვაცნო და განაცხადა, რომ კომიტეტი პრეზიდენტს შენიშვნებს არ დაეთანხმა. დეპუტატების პოზიციით, თუ მათი პროექტით, ინსპექტორი თან აღმასრულებლად და თან მაკონტროლებლად გვევლინებოდა, პრეზიდენტის პროექტის მიხედვით, ზუსტად ამ როლს ითავსებდა სასამართლოც. ნაციონალებმა პრეზიდენტის შენიშვნების პლუს-მინუსებზე ისაუბრეს, თუმცა ჯამში, არც ვეტოს დაძლევის და არც შენიშვნების დამტკიცების კენჭისყრებში მონაწილეობა არ მიუღიათ. ზუსტად იგივე პოზიცია ჰქონდათ რესპუბლიკელებსაც, რომელიც დეპუტატებს ვახტანგ ხმალაძემ გააცნო. ალასანიას ფრაქციის წარმომადგენელმა, ირაკლი ჩიქოვანმა კი განაცხადა, თუ ვეტოს დაძლევას მხარს არ დავუჭერთ, იქნებ, ამით ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის კანონის მიღება შევაჩეროთო. კონსერვატორები, ფორუმელები და მრეწველები უმრავლესობის სამეულის პოზიციებს ამაგრებდნენ და, ცხადია, ვეტოს დაძლევაშიც მიიღეს მონაწილეობა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია უმრავლესობის ლიდერის, დავით საგანელიძის გამოსვლა, რომელმაც პრეზიდენტს „სიყვარული“ აუხსნა: **„ძალიან გვიყვარხართ, ბატონო გიორგი და გვეწყინა, ასეთი გადაწყვეტილება რომ მიიღეთ. ვეტოს დარტყმა თოხის დაკვრა ხომ არ არის?! მინდა, დეპუტატებს მოვუწოდო, შენიშვნებს ხმა არათუ არ მისცენ, წითელი დააფიქსირონ!“**

დეპუტატებმა, რომელთაც ამჯერად კიდევ უფრო სერიოზული მობილიზაცია ჰქონდათ გამოცხადებული, „წითელი“ დააფიქსირეს და „ოცნების“ უმრავლესობამ 82 ხმით, 12-ის წინააღმდეგ, ვეტო დაძლია! პროცედურის მიხედვით, პარლამენტმა საკანონმდებლო პაკეტი ხელმოსაწერად კვლავ ქვეყნის პრეზიდენტს გადაუგზავნა და პრეზიდენტმა კანონს ხელი მოაწერა. ასე რომ არ მომხდარიყო, „გასაღები“ შესაძლოა, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურთა ხელში აღმოჩენილიყო, თუმცა ეს არგუმენტი მას არ აინტერესებდა. „გასაღების“ შსს-დან გატანა იმას აწყობდა, ვისი მიზანიც ამ სტრუქტურის დასუსტებაა, რადგან ამ შემთხვევაში, ქვეყნის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი არავინ იქნებოდა. მარგველაშვილი გვთავაზობდა ვერსიას, რომელიც არც ერთ ქვეყანაში აპრობირებული არ არის. გამოდის, რომ ეს გახლდათ ერთგვარი ექსპერიმენტი ქვეყანაზე. მეტიც, მისი დასაბუთება ბუნდოვანი და გაუგებარი იყო. შეიძლება, დავასკვნათ, რომ ეს იყო საჩვენებელი ვეტო.

ახალი ველოსიპედის გამოგონება არ შედგა — ვეტო ვეტოსთვის დაძლეულია!

## ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

# ჰარი პოტერი და დაჟინებული მზერა

*მე-2 გვერდიდან*

ამ სასამართლოს უნდა ჩაბარდეს მოსმენების გასაღები?! თუ ეგრეა, პირდაპირ პროკურატურას ჩაბარონ და ეგ იქნება — კუბლაშვილის შნირებზე უარესები მხოლოდ ადეიშვილის შნირები არიან.

„ნუგზარ წიკლაური: „ივანიშვილის ხელისუფლებას დამბლა დაეცა“, — იყო ასეთი ნიუსი, მაგრამ მანამდე, ორი წლის წინ, სააკაშვილის ხელისუფლებას იყო, დედა რომ... მას შემდეგ არც ისე ბევრმა წყალმა ჩაიარა და როგორც ახლა ირკვევა, სააკაშვილის ხელისუფლების დედა დაუგეგმავი სექსის შემდეგ გონს მოდის და სიამოვნებას ირგებს, თუმცა აცხადებს, რომ მასზე მოძალადე უმკაცრესად უნდა დაისაჯოს.

და როგორ ფიქრობთ, ვინ არის ეს მოძალადე, რომელმაც ნაციონალების დედაზე 3500 საარჩევნო უბანში იძალადა? კრებსითი გუგული მაღრაძე თუ ჯამური ირაკლი შიხიაშვილი? იქნებ, ირაკლი პეტრიაშვილი? ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილი? მამენტ... კოჟორიძე-ლომჯარია-გიგაურზე რას იტყოდით ან იქნებ დავით საგანელიძის მხრებზე მოგვესხა გამარჯვებული რაინდის მოსასხამი და ცხენზე მისთვის ნანა ყეენიშვილი შემოგვესვა?

„სერგო რატიანის განცხადებით, ამ კანონის მიღებით უმრავლესობას სერიოზული პრობლემები შეექმნება. რატიანის ამ განცხადებას გია ჟორჟოლიანი გამოეხმაურა. „ამ უზრდელობის ატანა შეუძლებელია და ყველას ვთხოვ უმრავლესობის წევრებიდან დარბაზი დავტოვოთ“, — განაცხადა ჟორჟოლიანმა პელანრულ სხდომაზე“, — ნიუსებს მიჰქონდა ჩემი მეგობარი სააგენტო.

ვარდისფერი გია ჟორჟოლიანი და მწვანე გია გაჩეჩილაძე — ამ ორ კანდიდატურას გთავაზობთ, მათგან შევარჩიოთ, რადგან ისევ ასეთი არჩევანის თავისუფლება სჯობს იმას, რასაც „რუსთავი 2“ და „იმედი“ გვთავაზობენ — „ტრაკით ან ტრაკზე“.

მოკლედ — კატასტროფა. გრძლად — რამე თუ არ ვიღონეთ, აუცილებლად დავიღუპებით.

ჩვენ საწვალებლად ვართ გაჩენილები, განსჯისა და ფიქრისთვის ენჯეოშნიკები არსებობენ. მაგალითად — „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“, რომელმაც მეტროში ქალებისთვის დაჟინებული ცქერის აღსაკვეთად წინადადებათა პაკეტი შეიმუშავა: ა) საზოგადოებრივ ადგილებში უსაფრთხოების დაცვის მეტი საშუალება იყოს; ბ) საზოგადოების ცნობიერების ამაღლება: საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, სექსუალური შევიწროებისა და მათი შესაძლო შედეგების შესახებ (სექსუალური ძალადობა, გაუპატიურება და ა.შ.), ინფორმაციის გავრცელების კამპანიები; გ) სექსუალური შევიწროების შესახებ მარეგულირებელი კანონების მიღება და სექსუალური შევიწროების, როგორც დასჯად ქმედებად და კანონის დარღვევად განსაზღვრა.

მაინც მაგრები ვართ, მიმიქარავს ჰარი პოტერი. რომელ ჰარი პოტერს მოუვიდოდა თავში პრობლემის გადაწყვეტა ისე გენიალურად, როგორც „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ მოიფიქრა და არც ეს არის ნაკლები: „ე.წ. ჩაწყობილი თამაშების საქმეზე დაკავებული მსაჯების მიმართ შესაძლოა, საპროცესო შეთანხმება გაფორმდეს, — ამის შესახებ ჟურნალისტებს ბრალდებულების ზვიად ასკაროღლისა და ალექსანდრე გუნცაძის ადვოკატმა, მარინა მარიამიძემ განუცხადა. მისი თქმით, შესაბამისი მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. როგორც მარინა მარიამიძემ აღნიშნა, დაცვის მხარე მიმართავს პროკურატურას, რომ გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება და გათავისუფლდნენ პატიმრობიდან ბრალდებულები. მისივე თქმით, შეთავაზება დაცვის ქვეშ მყოფებთან დაკავშირებით არის 3000-3000 ლარის ჯარიმა და პირობითი მსჯავრი“.

3000 ლარი ერთი თამაშის ამბავია — მეტი გოლი, მეტი კუთხური, მეტი აუტი და ფავორიტის გამანადგურებელი მარცხი.

მაგრებიც ვართ და სასაცილოებიც — გასულ კვირაში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან მიმდინარე საპროტესტო აქციას ჩხუბი და დაპირისპირება მოჰყვა.

შერიგების სამინისტროსთან თუ ჩხუბი მოხდა, იქ რაღა მოხდება, მეტროს სადგურ „ვაგზლის მოედანში“ და იუსტიციის სამინისტროს მიმდებარე ტერიტორიაზე?

ამიტომ ფრთხილად, განსაკუთრებით მეტროში.

**ფ.ა.ქ. (ფრთხილად, ადამიანებო, ქართველებო!)** „მომეხმარე, ცუნცულა, — მიმართა კონჩეტინამ მეუღლეს და ყელზე შემოხვია ხელი, — ღელეში ფეხი არ დამისველდეს“. „მოდი, ჰო!“ — უთხრა კუმეომ და ღელეზე გადაახტუნა. „ცოტათი ფრთხილად არ შეიძლებოდა, — ოდნავ გაიბუტა კონჩეტინა და მუცელზე მიიდო ხელი, — ა, ცუნცულ?“

*(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)*

# თბილისური საცობების მიზეზი — ავტომობილების გაზრდილი იმპორტი თუ არასწორად დამონტაჟებული შუქნიშნები

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ბოლო დროს, თბილისში საცობი აუტანელ, მაგრამ ჩვეულ მოვლენად იქცა და ამ ეტაპზე, ევროპასთან, სამწუხაროდ, მხოლოდ ხანგრძლივი, მომქანცველი და ხშირად, შესაბამისი სამსახურების გულგრილობით შექმნილი საცობები გვაახლოებს. მოკლედ, ქართველი იუმორისტებისა არ იყოს, საცობში თავისუფლად შეძლებთ დიდი ხნის უნახავი ახლობელ-მეგობარ-ნათესავის მოკითხვას, სადილობას, პრესის გაცნობას, თუმცა, თუკი საცობში ერთხელ მაინც მოხვედრილხართ, არ მგონია, გართობის განწყობაზე დამდგარიყავით. რა არის თბილისური საცობების მიზეზი? როგორია საქართველოში მსუბუქი ავტომობილების იმპორტის სტატისტიკა და რა უნდა გააკეთოს მერიამ, რომ დედაქალაქი საცობებისგან განტვირთოს?**

## შალვა ოგბაიძის რევოლუციური ინიციატივა



### განხილვა თბილისის საკრებულოში

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატების“ წევრი, შალვა ოგბაიძე სწრაფი რეაგირების სამსახურის შექმნის ინიციატივით გამოდის, რომელიც დედაქალაქის ქუჩებში საცობის პრობლემას გადაწყვეტს. თბილისის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე გოჩა ბაბუნაშვილი კი, საცობების განტვირთვის მიზნით, ახალი სამსახურის შექმნისთვის დამატებით ხარჯს მიზანშეწონილად არ მიიჩნევს. მისი თქმით, საპატრულო სამსახურში არსებობენ ჯგუფები, რომლებიც საცობების განტვირთვას საკუთარ თავზე იღებენ. ამასთან, თბილისის მერია, მოძრაობის განტვირთვის მიზნით, ე.წ. ჭკვიანი შუქნიშნების შემოღებას აპირებს.

საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — თბილისის“ თავმჯდომარის, ირაკლი აბესაძის განცხადებით, თბილისში საცობები იმიტომ შეიქმნა, რომ 2012 წელს „ქართულმა ოცნებამ“, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის, თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა, გელოვანის გამზირისა და სამტრედიის ქუჩის დამაკავშირებელი ხიდის საპროექტო სამუშაოები შეაჩერა.

პარასკევს, 28 ნოემბერს, თბილისის საკრებულოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ფრაქციების გაერთიანებულ სხდომას, თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის ნაცვლად, მისი მოადგილე, მალხაზ ჭამპურიძეს დაესწრო. დეპუტატები დედაქალაქში არსებული საცობების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, თბილისის მთავრობის ხედვითა და ამ მიმართულებით განსახორციელებელი, კონკრეტული პროექტებით დაინტერესდნენ.

მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის განცხადებით, საცობებისგან განტვირთვის მიზნით, ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის შემუშავებისას, არაერთი ესტაკადისა და სატრანსპორტო კვანძის მშენებლობის თემას განიხილავენ. პარალელურად, დედაქალაქში არსებულ ყველაზე რთულ უბნებზე, სატრანსპორტო მოძრაობის დარეგულირების კუთხით, გარკვეული პროექტები განხორციელდება. მალხაზ ჭამპურიძემ შუქნიშნების მოდერნიზაციაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ თბილისის 2015 წლის ბიუჯეტში, შუქნიშნების რეკონსტრუქციისა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გარკვეული თანხებია გათვალისწინებული.

### მსუბუქი ავტომობილების იმპორტის სტატისტიკა

ცალკეული ექსპერტების მოსაზრებით, დედაქალაქში საცობები იმიტომ შეიქმნა, რომ ბოლო დროს ავტომობილების იმპორტი გაიზარდა. „ვერსია“ დაინტერესდა, რამდენად რეალურია ეს მოსაზრება და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს — „საქსტატს“ მიმართა, რომლის ინფორმაციითაც, 2007-დან 2014 წლამდე, საქართველოში მსუბუქი ავტომობილების იმპორტი, მართლაც, გაიზარდა. 2007 წელს, საქართველოში, 369 712 700 აშშ დოლარის ღირებულების, 44 970 ცალი მსუბუქი ავტომობილი შემოვიდა; 2008 წელს — 706 778 500 აშშ დოლარის 76 755 ცალი ავტომობილი; 2009 წელს — 304 015 600 აშშ დოლარის 39 516 ცალი ავტომობილი; 2010 წელს — 401 673 200 აშშ დოლარის 47 840 ცალი ავტომობილი; 2011 წელს — 510 545 300 აშშ დოლარის 57 198 ცალი ავტომობილი; 2012 წელს, — 662 759 300 აშშ დოლარის 67 099 ცალი ავტომობილი; 2013 წელს — 710 482 700 აშშ დოლარის 81 250 ცალი ავტომობილი; 2014 წლის იანვარ-ოქტომბერში, საქართველოში 602 302 100 აშშ დოლარის ღირებულების, 81 563 ცალი მსუბუქი ავტომობილის იმპორტი განხორციელდა.

რას ნიშნავს მსუბუქი ავტომობილების იმპორტის გაზრდილი სტატისტიკა? რა არის საცობების შექმნის რეალური მიზეზი და რა უნდა გააკეთოს თბილისის მერიამ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად? „ვერსია“ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატების“ წევრ **შალვა ოგბაიძეს** დაუკავშირდა.

**— ბატონო შალვა, რატომ გაიზარდა მსუბუქი ავტომობილების იმპორტი?**

— ფრანგული კომპანია „სისტრას“ კვლევებით, მსუბუქი ავტომობილების იმპორტი იმიტომ იზრდება, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა კომფორტული არაა. მოუწესრიგებელი, არაკომფორტული ავტობუსითა და სამარშრუტო ტაქსით მგზავრობას, რომლითაც ფეხზე მდგომი ადამიანების გადაყვანა კატეგორიულად არ შეიძლება, ადამიანს ურჩევნია, საკუთარი ავტომობილით გადაადგილდეს. საქართველოში ახალი ავტომობილის შეძენა მხოლოდ 8-დან 10%-მდე მცხოვრებს შეუძლია, მოსახლეობის 92% მეორად ავტომობილებს ყიდულობს, რომლებიც ხშირად, 15 წლის წინ და უფრო ადრეა გამოშვებული.

**— ანუ თბილისური საცობების მიზეზი მხოლოდ მომრავლებული მსუბუქი ავტომობილებია?**

— ეს ერთ-ერთი ფაქტორია და არა — ერთადერთი. ნებისმიერი საცობი გარკვეული ხარვეზის ერთგვარი სარკეა, რომელსაც თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს. ობიექტური მიზეზი ის მოცემულობაა, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ — დედაქალაქის ლანდშაფტი, ვიწრო ქუჩები, ავტომობილების დიდ რაოდენობა. რაც შეეხება სუბიექტურ ფაქტორს, სწორი მენეჯმენტის პირობებში, შეიძლება, რომ საცობები შემცირდეს. საცობს, ერთი შეხედვით, ისეთი წვრილმანიც კი იწვევს, როგორიცაა გზის შუა, სავალ ნაწილში ახდილი ჭა, ამოტეხილი ასფალტი, ორმო, შუქნიშანი, რომელიც არასწორადაა დამონტაჟებული, თან შუქნიშნის ფერების გადართვა თბილისში არასწორადაა დაგეგმილი — არ შეიძლება, რომ შუქნიშანი წითლიდან პირდაპირ მწვანეზე გადაირთოს, მაგრამ ეს თბილისური „ნოუ-ჰაუა“. საცობს არასწორად ორგანიზებული ცალმხრივი ან ორმხრივი მოძრაობა, არასწორად დასმული საგზაო ნიშანიც იწვევს... სამწუხაროდ, თბილისის მერიას არ აქვს გენგეგმა, რომელიც განსაზღვრავს, როგორი დედაქალაქი იქნება თბილისი რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, გაგრძელდება თუ არა ისეთი ურბანული ვანდალიზმის ფაქტები, როგორიცაა სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია, ან თუნდაც ის, რაც ხდება ვერაზე, ვაკეში, კერძოდ, ყიფშიძის, ფალიაშვილისა და აბაშიძის ქუჩებზე. რაც მთავარია, დედაქალაქის სატრანსპორტო სისტემის მართვის ერთიანი მენეჯმენტი არ არსებობს, აქ მხოლოდ ქალაქის ტრანსპორტის სამსახურს კი არა, თბილისის მოძრაობის ორგანიზებასა და საგზაო უსაფრთხოების მართვას ვგულისხმობ. ეს მოიცავს გზასაც, განათებასაც, ინფრასტრუქტურასაც, გრძელვადიან პროექტებსაც — ესტაკადა, მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების განივი დამაკავშირებელი ხიდები, ქალაქის სიმძიმის ცენტრის გადატანა სხვა რაიონში, შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა. დღეს ყველაფერი ეს სხვადასხვა უწყებაშია გაბნეული, შესაბამისად, მოკლევადიანი და გრძელვადიანი პრობლემების მოგვარების ერთიანი გზა არ ჩანს. შედეგად ვიღებთ საცობებს, რის გამოც მთელი დატვირთვა მხოლოდ საპატრულო პოლიციის მუშაკებზე მოდის, რაც არასწორია. გაისად გათვალისწინებულია პუშკინის მოედნის ორმხრივი მოძრაობის აღდგენა, რაც თავისთავად, ძალიან კარგია, მაგრამ ეს საცობებს ვერ განტვირთავს, აუცილებელია, ერთხელ და სამუდამოდ, შემუშავდეს სტანდარტი, რომელიც ორ ძირითად პრინციპს დაეყრდნობა — რა შეიძლება და რა არა. მაგალითად, ძალიან კარგია დეველოპერული საქმიანობა, მაგრამ მშენებელმა მოგება საგზაო მოძრაობის შევიწროებისა და გაჭედვის ხარჯზე არ უნდა მიიღოს!

**— ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების განცხადებით, 2015 წლის ბიუჯეტში, ამ პრობლემის მოგვარებისთვის თანხა გათვალისწინებული არ არის. თბილისის მერიის ოფიციალური პოზიცია როგორია?**

— ჯერ ერთი, ეს საკითხი მე დავსვი და არა ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა. საცობები სწორედ ნაციონალური მოძრაობის „დამსახურება“ და ამაზე ბოდიში ჯერ არ მომისმენია. ვგულისხმობ, პუშკინის მოედნის ცალმხრივად გადაკეტვას — არ შეიძლებოდა; ასევე სასტუმრო „აჭარის“ წინ არსებული ტერიტორიის გაყიდვას და იმ ურბანულ ვანდალიზმსაც, რაც სპორტის სასახლის გარშემო შეიქმნა. სწორედ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს გაუქმდა მშენებლობაზე სართულიანობის კოეფიციენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ დეველოპერი, რომელიც პირობითად, 5-სართულიანი კორპუსის მშენებლობის ნებართვას აიღებდა, მოგვიანებით, თუ დამატებით გარკვეულ თანხას გადაიხდიდა, ამ 5 სართულზე დამატებით 8 სართულის დაშენებაც შეეძლო. ვიდრე ამის გამო ბოდიშს არ მოიხდიან, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების შენიშვნებს საცობების თემაზე, ვერ გავიზიარებ.

რაც შეეხება თბილისის მერიის პრიორიტეტებს, მართალია, 2015 წლის ბიუჯეტში ესტაკადისა და რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება დაგეგმილია, მაგრამ მხოლოდ ამის გამო ვერ ჩავთვლი, რომ ეს საცობებთან ბრძოლის გზაა. კარგად განათებულ გზაზე საცობი არ გინახავთ? მაგალითად, სანაპიროზე, ასფალტი რაც უნდა კარგად დააგოთ, მაინც საცობია, ამიტომ ინფრასტრუქტურულ პროექტსა და საცობის მოგვარებას შორის პირდაპირი ტოლობის ნიშანი არ არსებობს. ინფრასტრუქტურული პროექტი საცობთან ბრძოლის ერთ-ერთი მდგენელია და არა — ერთადერთი.

**— ესე იგი, ამ პრობლემის მოგვარებაზე თბილისის მერიას ხედვა არ წარმოუდგენია?**

— ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსს ამ თანამდებობაზე დანიშვნის პირველივე დღიდან ვუთხარი, რომ პასუხისმგებლობა, რომელიც მისმა სამსახურმა აიღო, აუცილებლად გაჭყლეტდა თბილისის საქალაქო სამსახურს. 4 თვეა, ახალი შემადგენლობა მუშაობს, მაგრამ ჯერ ხედვა არ წარმოუდგენია. შესაბამისად, არ ვიცი, როგორ აპირებენ არსებული მარშრუტების გადალაგებას, ავტოპარკის განახლებას, როგორ წარმოუდგენიათ მოძრაობის ორგანიზაცია. საერთოდ, იურიდიული ნონსენსია, როცა მოძრაობის ორგანიზაციის 8-კაციანი განყოფილება, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის შემადგენლობაშია... ჩვენმა ფრაქციამ საკრებულოს სხდომაზე უკვე დასვა საკითხი და ვაპირებთ, ფრაქციის სხდომაზე თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი მოვიწვიოთ. ამ სხდომაზე თქვენც მოგიწვევთ და ყველა იმ კითხვაზე პასუხს, რაც გაინტერესებთ, ამ სამსახურის უფროსისგან, თქვენთან ერთად, სიამოვნებით მოვისმენ. ვეჭვობ, პასუხს საერთოდ ვერ მოვისმენთ, მაგრამ გარკვეულწილად, ესეც პასუხი იქნება, რადგან ზუსტად გვეცოდინება, ამის შემდეგ რა გავაკეთოთ.

**— თქვენი ხედვების შესახებ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი, ან თბილისის მერი საქმის კურსში ჩააყენეთ?**

— სამწუხაროდ, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს საკრებულოს კომისიასთან, თუ არ ჩავთვლით პრივატულ საუბრებს, კონტაქტი არ აქვს. აქედან გამომდინარე, მიმძაფრდება ეჭვი, ამ ადამიანს, თავის უფროსად, უშუალოდ თბილისის მერი მიაჩნია, უფრო ზუსტად, ის პასუხისმგებლობას მხოლოდ დავით ნარმანიას წინაშე გრძნობს. ეს იმის ბრალია, რომ ხელისუფლება ადამიანებს თანამდებობებზე პროფესიული ნიშნით კი არა, მხოლოდ პარტიული შეხედულებების გამო ნიშნავს. ფაქტია: ეს ოთხი თვეა, არაფერი გაკეთებულა, არადა, ქალაქში ვითარება დამძიმდა.

რაც შეეხება კონტაქტს დავით ნარმანიასთან, ეს მართლაც სანიმუშოა — არცერთი ჩემი შეხმიანება რეაგირების გარეშე არ დაუტოვებია, მაგრამ ესეც არ არის კარგი, რადგან არ შეიძლება, ყოველ კონკრეტულ საქმეზე ქალაქის მერს, ან ვიცე-მერს ვურეკავდე. ისეთი გამართული სისტემა უნდა იყოს, ესა თუ ის პრობლემური საკითხი, ავტომატურ რეჟიმში გამოსწორდეს... მაგალითად, ორი თვეა, კაიროს ქუჩაზე ექვსი ჭაა ახდილი, რომელიც „თბილწყალკანალს“ ეკუთვნის, მაგრამ „თბილწყალკანალს“ არავინ ატყობინებს — გამგეობას ეს საკითხი არ ეხება, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური მარშრუტებითაა დაკავებული ანუ თავისი კომპეტენციის ფარგლებში ყველა მართალია. არადა, ორი თვეა, ასეთი მდგომარეობაა და საქმე ფუჭდება, პრობლემა ისაა, რომ ამ ახდილ ჭაში ან მანქანა ჩავარდება, ან ადამიანი. ვიმეორებ: ამ ფორმით მუშაობა შეუძლებელია, თუ ასე გაგრძელდება და პრიორიტეტად მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტები ჩაითვლება, რაც თავისთავად, ცუდი არ არის, მალე თბილისი საავტომობილო ჯუნგლებად და საცობებისგან გაუვალ ქალაქად გადაიქცევა... სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ უნდა შეიქმნას მოძრაობის ორგანიზაციის სამსახური, რომელიც ევროპის ბევრ ქვეყანაში არსებობს...

**— თბილისის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ამბობს, რომ ამას დამატებითი სახსრები დასჭირდება.**

— ასე არაა... საგზაო მოძრაობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული სამსახურების პირველ პირებს სამუშაოს აღწერაში უნდა ჩავუწეროთ, რომ ვალდებულნი იქნებიან, თვეში ერთხელ, მოძრაობის ორგანიზაციის სამსახურში შეიკრიბონ. ამ სამსახურს მცირერიცხოვანი შემადგენლობა დასჭირდება, რომელიც ინტერაქტიური იქნება, პრესისა და ცხელი ხაზის საშუალებით, ამა თუ იმ უბანში ახდილი ჭის, ან დაზიანებული ასფალტის შესახებ კონკრეტულ, ლოკალურ შეტყობინებას მიიღებს და შესაბამის ზომებსაც ოპერატიულად გაატარებს.

**— ბატონო შალვა, კერძო ტაქსების ლიცენზირება საცობების პრობლემას გადაჭრის?**

— საკრებულოს პირველივე სხდომაზე, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსს მოვთხოვე, პასუხი გაეცა, თუ ვის ეკუთვნის კერძო ტაქსები, რაზეც გასაოცარი პასუხი მივიღე, რომ ტაქსები მათ სამსახურს არ ეხება. გამოდის, რომ რაც სახელმწიფოს საკუთრება არ არის, თბილისის მერიას არ ეხება, ეს კი ძალიან ცუდი და არაკომპეტენტური პასუხია. რას ჰქვია, არ ეხება? ტაქსები ძალიან დიდ მგზავრნაკადს ემსახურებიან. თუ რამდენიმე მოწესრიგებულ კომპანიას არ ჩავთვლით, კერძო ტაქსები მთლიანად თვითდინებაზე არიან მიშვებულნი. ამ ეტაპზე, ლიცენზირება და გადასახადის დაწესება საცობის პრობლემას ვერ აღმოფხვრის, მაგრამ, ადრე თუ გვიან, თბილისის მერიას ამაზე საუბარი მაინც მოუწევს.

**— საცობებს მარჯვენასაჭიანი მანქანები ხომ არ ქმნის?**

— არა, მაგრამ მარჯვენასაჭიანი მანქანების ტაქსად გამოყენება კატეგორიულად დაუშვებელია! არ შეიძლება, მარცხენა ანუ სავალი მხრიდან მარჯვენასაჭიან ტაქსიში, მაგალითად, ბავშვიანი მგზავრი ჩაჯდეს. სამწუხაროდ, ბოლო დროს, ძალიან გახშირდა, როგორც მარჯვენასაჭიანი, ასევე, ორკარიანი ტაქსები, რაც ასევე, კატეგორიულად დაუშვებელია! წლების წინ, როდესაც სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ მარჯვენასაჭიანი მანქანების იმპორტი აეკრძალა, ამას წინააღმდეგობა გავუწიე და აქციებით დავუპირისპირდი, თუმცა რამდენადაც კატეგორიული ვარ, ამ ტიპის მანქანების იმპორტი არ აიკრძალოს, იმდენად წინააღმდეგი ვარ, მარჯვენასაჭიანი ავტომობილები ტაქსებად გამოიყენონ.

ნინო კომახიძე
599-95-33-16

# რომელი ქართული „ენჯეოები“ მოქმედებენ ტერორისტული და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების საფარქვეშ



## ცხინვალში რუსეთის გაძლიერებული სპეცრაზმი შეჰყავთ — „მოსმენების გასაღების“ სახიფათო თამაშები

**რა ტერორისტული საფრთხეები გველის 2015 წლიდან, რომელი ქვეყნების სპეცსამსახურები მუშაობენ საქართველოში და ვინ, როგორ იმართება მათი სქემით; აქვთ თუ არა კავშირი რუსულ და თურქულ სპეცსსამსახურებთან იმ ორგანიზაციებს, ვინც მოსმენების ე.წ. გასაღების კერძო პროვაიდერებისთვის გადაცემას ითხოვს და რა იქნება აფხაზეთის ანექსიის მერე, გაცოფებული პუტინის შემდეგი ნაბიჯები? — ამ თემებზე „ვერსიასთან“ კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარე ზაალ კასრელიშვილი საუბრობს.**

— საქართველომ საგარეო კურსად დასავლური ორიენტაცია აირჩია, სტრატეგიულ პარტნიორად კი აშშ მოიაზრება. შესაბამისად, ჩვენი კანონმდებლობა, უსაფრთხოება და ეკონომიკური რეფორმები ამერიკულ სტანდარტებს უნდა მოვარგოთ. აშშ-ში თვალთვალსა და მოსმენებს, მოსამართლის ნებართვით, უსაფრთხოების ეროვნული სააგენტო ახორციელებს, რომელსაც მხოლოდ ერთი მაღალჩინოსანი აკონტროლებს და უსაფრთხოების სხვადასხვა სტრუქტურის ხელმძღვანელი მის საქმიანობაში ვერ ერევა.

**— უშიშროების სამინისტრო ცალკე არ გვაქვს და ეს „ერთი კაცი“, ჩვენს შემთხვევაში, შს მინისტრია?**

— ალბათ... ევროპის ყველა ქვეყანაში, საფრანგეთის გარდა, ზემოხსენებული სქემა მუშაობს, საფრანგეთი კი 2015 წლის 1-ლი იანვრიდან, ე.წ. გასაღებს შს სამინისტროს დაუბრუნებს.

**— ბატონო ზაალ, მთელი მსოფლიო ამ ტენდენციით რატომ მიდის?**

— ტერორიზმი, როგორც მოვლენა, სპონტანური აღარაა — ნელ-ნელა ერთიანი სისტემა გახდა და ისიც კი მოახერხა, ისლამური სახელმწიფო ჩამოაყალიბა, რომელმაც ტერორისტული დაჯგუფებები „გააპრავა“ და ისლამური სახელმწიფოს არმია დაარქვა. მსოფლიო ახალ მიდგომაზე მაშინ გადავიდა, როცა რამდენიმე მაღალჩინოსანს თავს დაესხნენ და მოკლეს. გამოძიებამ კი დაადგინა, რომ ამ მაღალჩინოსნების გადაადგილების მარშრუტები და სხვა დეტალები ტერორისტებმა, მოსყიდვისა თუ დაშინების გზით, სწორედ კერძო პროვაიდერი კომპანიებისგან მოიპოვეს.

**— ეს საფრთხეები, ალბათ, ჩვენთვისაც აქტუალურია, მით უმეტეს, ანექსიის ფონზე. რა შეიძლება მოიმოქმედოს ცივილური მსოფლიოსგან იზოლირებულმა პუტინმა? ისე, წეღან რატომ მითხარით, 2105 წლიდან საქართველოს ტერორიზმის დიდი საფრთხე ემუქრებაო?**

— 2015 წლიდან, საფრთხეები, მართლაც, სერიოზულია. ჩამოგითვლით: 1. საზღვარი ფსოუდან ენგურამდე გადმოდის. 2 რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეეცდება, საქართველოში არსებული რუსული სპეცსამსახურების ინტერესჯგუფები, პოლიტიკური პარტიები თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები გაააქტიუროს — თავის ფავორიტებს პრორუსული პოზიციის დაფიქსირებას ღიად აიძულებს. 3. ჩვენს მოსახლეობას იმის შესახებ ინფორმაცია არ აქვს, რომ გაზაფხულზე ცხინვალში განლაგებული რუსეთის ჯარის როტაცია იგეგმება და მის ნაცვლად, სპეცდანიშნულების გაძლიერებული ქვედანაყოფები შემოვა, თუმცა ჯარისკაცების რაოდენობა იგივე იქნება. 4. ნელ-ნელა იღვიძებს მიძინებული კონფლიქტი ინგუშეთსა და ჩრდილოოსეთს შორის. ჩეჩნეთის, ინგუშეთის, დაღესტნისა და ყაბარდოს ტყეები სავსეა ტერორისტებით, რომლებიც კარგად გამოიზამთრებენ და გაზაფხულზე, რუსეთის ეკონომიკური კრიზისის ფონზე, გააქტიურდებიან. 5. ყარაბაღის კონფლიქტი, რომელიც ორ-სამ თვეში ერთხელ იფეთქებს ხოლმე, მართალია, დაკონსერვებული საფრთხეა, მაგრამ რეგიონში ვითარებაზე გავლენას მოახდენს. 6. ისლამური თემის გააქტიურება. 7. ხალიფატი, რომელსაც საქართველოში 300 შეფიცული უკვე ჰყავს.

**— კერძო პროვაიდერების მფლობელთა შორის რუსეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები არიან. ზოგად საფრთხეებზე ყველა ლაპარაკობს, მაგრამ დააკონკრეტეთ, „გასაღების“ კერძო კომპანიებისთვის გადაცემით რეალურად რა საფრთხის წინაშე დავდგებით?**

— ამ კითხვაზე გულწრფელად გიპასუხებთ — საქართველოში პროვაიდერები არ არსებობენ. მოსმენებისა და თვალთვალის სიამოვნებას, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ფინანსების უქონლობის გამო, რუსული „ბილაინისა“ და თურქული წარმოშობის „ჯეოსელის“ გარდა, საკუთარ თავზე ვერც ერთი კომპანია ვერ აიღებს. რა გამოდის — ჩვენს ქვეყანაში ფარული თვალთვალისა და მიყურადების საშუალება რუსეთისა და თურქეთის სპეცსამსახურებს ექნებათ. თანაც ერთმანეთში ინფორმაციებს კარგად გაცვლიან და ჩვენ ან ჩაგთვლიან ძაღლად, რომ ეს ინფორმაცია გაგვინაწილონ, ან არა. ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, ვინაა პრეზიდენტი, პრემიერი და შს მინისტრი — ახლა ერთიანი უსაფრთხოების სისტემაზე ვლაპარაკობ.

**ბოლოს და ბოლოს, ქართული სპეცსამსახურები უნდა ჩამოყალიბდეს თუ არა? თუ დაასუსტებ, მით უმეტეს, ვეღარ ჩამოყალიბდება. ძლივს იქამდე მივედით, რომ პოლიტიზებული ჯარი და პოლიცია აღარ გვყავს. ქართული სპეცსამსახურები კაფე-ბარებში საქმეების გარჩევითა და აქციებზე ხალხის დაბერვით აღარ არიან დაკავებულნი. თუ ჩვენ ახლავე წავართმევთ სპეცსამსახურებს სამძებრო-ოპერატიული მოქმედებების მეთოდების გამოყენების უფლებას, მაშინ პირდაპირ გეტყვით, დამნაშავე ყოველთვის სამართალდამცავზე ერთი ნაბიჯით წინ იქნება!**

**— ამ ლოგიკით, სპეცსამსახურები საქართველოში თავიანთ აგენტურას ააქტიურებენ, მაგრამ ვინ დგას იმ არასამთავრობოების უკან, რომლებიც ჯიუტად იმეორებენ და აქციებსაც აწყობენ, რომ ე.წ. გასაღები კერძო პროვაიდერებს უნდა ჰქონდეთ?**

— მარტივ რამეს გეტყვით: ტერორისტული ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი, რომელსაც აქვს მილიონები და ჰყავს ათიათასობით მეომარი, თუ მას რომელიმე გეოგრაფიული ტერიტორიის ინტერესი აქვს, იქ ბრმად ვერ შევარდება. ჯერ ინფორმაციას მოიპოვებს, რისთვისაც ადგილზე ხალხი სჭირდება და სწორედ ამისთვის ქმნიან საქართველოში თავიანთ ინტერესჯგუფებსაც, რომელთაც ან „ენჯეოს“ სტატუსს აძლევენ, ან პარტიის, რათა მეტ ინფორმაციაზე ჰქონდეთ წვდომა. ამის მერე ამ ინტერესჯგუფებს ააქტიურებენ, რათა უფრო ანგარიშგასაწევი ძალა გახდნენ და მათთვის სასურველი ინფორმაცია უფრო ხელმისაწვდომი იყოს. ეს მარტო ტერორისტებს არ ეხება, ასე შეიძლება, ნებისმიერი უცხო ქვეყნის სპეცსამსახური მოიქცეს, რომელსაც კავკასიის, ან კონკრეტულად, საქართველოს ინტერესი აქვს. მეორე საკითხია მე, როგორც გარეძალას, ვისგან უფრო გამიადვილდება ინფორმაციის მოპოვება — კერძო პირისა თუ მთელი სახელმწიფო სტრუქტურისგან?! ამიტომ ყველაფერი წინასწარ დადგმული და გათვლილია, მარტივი მიზეზის გამო — ვერც ერთ ამ მოთხოვნას, მოსმენებისა და თვალთვალის შესახებ, სხვა პროვაიდერი ვერ დააკმაყოფილებს, გარდა „ბილაინისა“ და „ჯეოსელისა“.

**— ამით რას ამბობთ, ქართულ არასამთავრობოებს რუსეთისა და თურქეთის სპეცსამსახურები მართავენ?**

— პირდაპირ ხელს ვერავის დავადებ. ალბათ, ამ ადამიანებს წარმოდგენაც არ აქვთ, მსგავსი მოთხოვნებით ვის ინტერესებს ემსახურებიან. აქ საუბარი მარტო რუსულ სპეცსამსახურებზე არაა — ირანის სახელმწიფოც დიდ ფულს გადაიხდიდა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების დეტალების გასაგებად, საუდის არაბეთიც, ისრაელიცა და შავი ზღვის აუზის ქვეყნებიც.

**1990 წლიდან მოყოლებული, ქართველები ერთმანეთს ლანძღავენ და აგინებენ, შეურაცხყოფენ, ერთმანეთის ჯიბრზე, უცხო ქვეყნის სპცესამსახურებთან თანამშრომლობენ, მერე ხელისუფლებაში მოდიან, ხალხისა და ქვეყნის ფულს იპარავენ, საკუთარ მოსახლეობას ასუსტებენ და მერე, ვირთხებივით, საიდანაც გამოძვრნენ, ისევ იმ სოროებში ძვრებიან!**

**— ამჟამინდელ ხელისუფლებაზეც იგივე აზრის ხართ?**

— რაღაც გაკეთდა, რაღაც არა, რაღაც დაგვიანდა... ასე თუ გაგრძელდა, 2015 წლიდან მინუსებში წავალთ! ვიდრე ერთმანეთს ვეჯიბრებით, ამასობაში, საზღვარმა როკის გვირაბიდან გორამდე და ფსოუდან ენგურამდე გამოიწია — სერიოზული გამოცდა და გლობალური პოლიტიკური პროცესები გველის, ამიტომ რაღაცაზე მაინც უნდა შევთანხმდეთ. თუ გვინდა, საქართველოში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების პრობლემები არ აფეთქდეს და საზღვარმა თელავამდე არ გადმოიწიოს, კონსენსუსამდე უნდა მივიდეთ.

დაჯილდოება

# თიბისი ბანკი 2014 წლის საუკეთესო ბანკია საქართველოში

**მსოფლიოს ერთ-ერთი, ყველაზე ავტორიტეტული გამომცემლობა Financial Times-ის ფინანსურმა ჟურნალმა, The Banker-მა, თიბისი ბანკი 2014 წლის საუკეთესო ბანკად დაასახელა საქართველოში. დაჯილდოების ყოველწლიური ცერემონიალი ლონდონში, 27 ნოემბერს გაიმართა, სადაც თიბისი ბანკი მსოფლიოს წამყვან ბანკებთან ერთად იყო წარდგენილი.**

სხვადასხვა ფინანსური გამოცემებისგან, 2014 წლის განმავლობაში, თიბისი ბანკმა „საქართველოში საუკეთესო ბანკის“ წოდება უკვე მეოთხედ მიიღო.

მსოფლიოს წამყვანი ბრიტანული ჟურნალი, The Banker, ყოველწლიურად იკვლევს და ავლენს საუკეთესო ბანკებს 149 სხვადასხვა ქვეყანაში. შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა, წინა წლის მონაცემზე დაყრდნობით ხდება.

**„ჩვენთვის დიდი პატივია, რომ მსოფლიო საბანკო სივრცეში ერთ-ერთმა, ყველაზე პრესტიჟულმა გამომცემლობამ, 2014 წლის საუკეთესო ბანკად დაგვასახელა საქართველოში. ასეთი აღიარება კიდევ უფრო დიდი სტიმულია, რომ შევინარჩუნოთ ლიდერობა საქართველოსა და რეგიონის მასშტაბით“,** — განაცხადა თიბისი ბანკის გენერალურმა დირექტორმა, **ვახტანგ ბუცხრიკიძემ**.





# „კიტოვანი და სიგუა ჩემთვის ჯაბა იოსელიანზე ბევრად საზიზღრები არიან!“

ვანო პავლიაშვილი

**უხსოვარი ანუ იმ დროიდან ვიცნობ, როცა ყველაზე ახალგაზრდა პარლამენტარი იყო და ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში „აღორძინების“ ინტერესებს „ამაგრებდა“; მერე ასლან აბაშიძეს გაემიჯნა და კონსტანტინე გამსახურდიას „თავისუფლების“ სახე გახდა; დღეს კი „ოცნების“ ხელისუფლებაშია — ჯერ ლტოლვილთა, ახლა კი დიასპორის მინისტრის მოადგილეა. ჰო, მართლა: დახეული ჯინსით აღარ დადის. არადა, თავის დროზე მოდას კი არ მიჰყვებოდა, ასწრებდა კიდეც... სამი წელია, არ მინახავს — ტელევიზორს, პრაქტიკულად, არ ვუყურებ და ამიტომ თვალი არც ეკრანზე მომიკრავს — აშკარად შეცვლილი დამხვდა. მოკლედ, თქვენს წინაშეა არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ ერთ დროს ყველაზე ხმაურიან სანდრო ბრეგაძესთან...**

## როგორ გადაურჩა სანდრო ბრეგაძე გლდანის ციხეში ნამებას

**— სანდრო, სამი წელია, არ მინახიხარ. გასუქებულხარ...**

— ალბათ, ასაკის ბრალია და კიდევ უმოძრაობის... მაშინ, როცა ერთმანეთს ინტენსიურად ვხვდებოდით და ვძმაკაცობდით, უფრო ბევრი დრო მქონდა და სპორტსაც აქტიურად მივდევდი. ახლა კი, სამწუხაროდ, დრო აღარ მაქვს...

**— დამიჯერე, თანამდებობას ჯანმრთელი ცხოვრება სჯობია...**

— გეთანხმები, მაგრამ ჯანმრთელი ცხოვრება ცოტა ძნელია.

**— ძნელი კი არა, ადვილია: დატოვე თანამდებობა და ისევ სპორტით დაკავდი!**

— აი, ხომ ხედავ, ახლაც სიგარეტს მოვუკიდე, არადა, ყველაზე ჯანმრთელი ცხოვრება ისაა, რომ არც მე მოვწიო და არც შენ...

**— სხვათა შორის, კლასიკურად გაცვია. მართლა ხომ არ დაბერდი?**

— (იცინის) ასაკი გვემატება... ბავშვობიდან გახსოვარ და მაშინდელივით დახეული ჯინსით ვეღარ ვივლი.

**— ისე, პარლამენტარობა მინისტრის მოადგილეობაზე არანაკლები სტატუსია...**

— დეპუტატი 25 წლის ასაკში გავხდი და საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა პარლამენტარი ვიყავი. 25 წლის ყმაწვილისა და 40 წელს გადაცილებული მამაკაცის მენტალიტეტი კი ძალიან განსხვავდება. სააკაშვილის ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ იმ გზის გავლა, რაც ბავშვობაში არ ჰქონდა გავლილი, მაშინ მოინდომა, როცა პრეზიდენტი გახდა. არადა, ყველა ასაკს თავის ხიბლი აქვს...

**— მოკლედ, დაღვინდი?**

— მთავარია, არ დავძმარდე, თორემ დაღვინება კარგია!

**— გამიგია, ჩინოვნიკობა აძმარებსო. ჰოდა, გირჩევ, ამ სავარძელში დიდხანს არ იჯდე...**

— ჩემი ხასიათი კარგად იცი და კლასიკური ჩინოვნიკი ვერასოდეს გავხდები...

**— სამსახურში დილის 9 საათზე მოდიხარ, მანქანა და მდივანი გემსახურება... არაკლასიკური ჩინოვნიკი რატომღა ხარ?**

— ვიდრე აქ გადმოვიდოდი, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე ვიყავი და ჩემთან შემოსვლა ნებისმიერ მოქალაქეს ნებისმიერ დროს შეეძლო ანუ დევნილებთან პირდაპირი და მუდმივი კომუნიკაცია მქონდა, პრობლემებს ერთად ვწყვეტდით და არ იგრძნობოდა, ვინ მინისტრის მოადგილე იყო და ვინ რიგითი მოქალაქე, რაც ბევრისთვის შეიძლება, მიუღებელი იყო, რადგან ასე არ იქცეოდა. სხვათა შორის, სამინისტროდან მანქანა არ „გამომიყვანია“ — ახალი ავტომობილის მოცემას აპირებდნენ, მაგრამ კატეგორიული უარი ვთქვი.

**— უარი, ალბათ, იმიტომ თქვი, რომ უკეთესი საკუთარი ავტო გყავდა...**

— არა, არა... მას მერე, რაც საკუთარი გამიფუჭდა, სახელმწიფო ავტოფარეხიდან ათი წლის მანქანა გამოვიყვანე, რომელსაც ყოველ წუთს შეკეთება სჭირდებოდა. საერთოდ, კარგი იქნება, საქართველოშიც, დანიისა თუ ნორვეგიის მსგავსად, ჩინოვნიკები ველოსიპედით გადაადგილდებოდნენ და ამას სრული სერიოზულობით ვამბობ, თუმცა ზედა ბახტრიონზე ვცხოვრობ და იქ ველოსიპედით ასვლა ძალიან ძნელი იქნება.

**— სჯობს, ფეხით იარო — წონაშიც დაიკლებ...**

— სიმართლე გითხრა, ფეხითაც ხშირად დავდივარ, მაგრამ მანქანა სწრაფი გადაადგილებისთვისაა საჭირო.

**— დიასპორის მინისტრის მოადგილე ხარ და ერთი გამაგებინე, სწრაფი გადაადგილება რისთვის გჭირდება? — დიასპორა უცხოეთშია, სანდრო!**

— სწრაფი გადაადგილება წინა სამინისტროში მჭირდებოდა — რაიონებში, მიუვალ ადგილებში ჩასვლა მიწევდა, თან ეკომიგრანტებთან მქონდა ურთიერთობა, რომლებიც მაგალითად, წალკაში ცხოვრობენ.

**— მერე, ამ ხალხისთვის რა გააკეთე? — რამდენიმე კვირის წინ, წალკაში მცხოვრებმა აჭარელმა ეკომიგრანტებმა კანცელარიასთან საპროტესტო აქცია გამართეს და პრემიერს პეტიციაც გაუგზავნეს...**

— ეს იმიტომ, რომ იქ აღარ ვარ!

**— რატომ გამოგიშვეს?**

— არავის გამოუშვივარ. იმ სამინისტროში, ბატონი სოზარ სუბარის მეთაურობით, ახალი გუნდი მოვიდა და მთავრობამ გადაწყვიტა, აქ გადმოვეყვანე. სხვათა შორის, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში, მცირე ხანში, იმის გაკეთება შევძელი, რაც წლების განმავლობაში ვერავინ შეძლო — ეკომიგრანტების განსახლების პრობლემა გადავწყვიტე...

**— სანდრო, მატყუებ, თან ძალიან მწარედ!**

— რატომ?

**— ადამიანო, გეუბნები, რომ ეკომიგრანტებმა სწორედ განსახლების პრობლემების გამო, ამას წინათ, აქცია გამართეს-მეთქი და შენ კი საპირისპიროს მიმტკიცებ. მეტიც, წალკელი აჭარლები ამბობენ, რომ გამგებელი და სხვა თანამდებობის პირები ისევ ნაციონალები არიან..**

— როცა განსახლების სამინისტროში ვიყავი, პრაქტიკულად, გადაწყდა, რომ ამ ხალხისთვის ბერძნებისგან სახლებს გამოვისყიდდით. იქიდან რომ წამოვედი, არ ვიცი, ეს რატომ ვერ განხორციელდა... სხვათა შორის, ადრე აჭარელი ეკომიგრანტებისთვის სამინისტრო სახლს, თავისი ინიციატივით, მაგალითად, კახეთში ყიდულობდა. ეს პრინციპი შევცვალე — სახლს სამინისტრო კი აღარ ყიდულობს, არამედ, ფულს აძლევს და ეკომიგრანტი სახლს იქ ყიდულობს, სადაც უნდა... რაც შეეხება წალკას, მაშინდელ მინისტრ დარახველიძესთან ასი პროცენტით მქონდა შეთანხმებული, რომ აჭარელი ეკომიგრანტებისთვის ბერძნების სახლებს გამოვისყიდდით. ეკომიგრანტებისთვის სახელმწიფომ 80 სახლი შეიძინა კიდეც...

**— ესე იგი, დევნილთა სამინისტროში სუბარი მივიდა და თქვენი დალაგებული საქმე აწეწა!**

— არა.

**— რაღა არა, წალკაში ისევ დგას ეკომიგრანტების პრობლემა...**

— სუბარი ამ თემით ძირფესვიანადაა დაინტერესებული და ბევრ რამეს კარგად აკეთებს. ამ საკითხში კი რა მოხდა, არ ვიცი...

**— მოკლედ, ხელებიც დაგიბანია!**

— პილატე არ ვარ, ხელები დავიბანო! მექანიზმი დავტოვე და ამ მექანიზმს სწორი მუშაობა სჭირდება! იმ სეგმენტში, რომელიც მებარა, რევოლუციური ცვლილებები გავატარე და ყველა ადამიანი ასი პროცენტით კმაყოფილი იყო!

**— რევოლუცია შენთვის უცხო არაა — რაც თავი მახსოვს, სულ ამბოხებებს აწყობ, მაგრამ „ოცნების“ ხელისუფლებაში შენი გამოჩენა მაინც მოულოდნელი იყო. სულმა სული იცნო და დარახველიძემ მოადგილედ იმიტომ წაგიყვანა? — შენი არ იყოს, ისიც ჰომოფობობაში იყო შემჩნეული...**

— ჰომოფობი არ ვარ!

**— რა ვიცი. ლგბტ-ებს დასდევ. „იდენტობის“ ოფისთანაც კი განხეს...**

— ეს ფოტო მაშინ გადამიღეს, როცა რუსთაველზე, ჩემს შვილს ველოდებოდი — დაბადების დღეზე იყო და შინ უნდა წამეყვანა. ისე, საინტერესოა, რომ ვიღაც-ვიღაცები დაინტერესებულნი არიან, სად დავდივარ. ერთხელ და სამუდამოდ, ვაცხადებ: ადამიანის აზროვნება ტრანსფორმაციას განიცდის და ვითარდება. სამწუხაროდ, კომუნისტური ეპოქის შვილები ვართ და მაშინდელი პროპაგანდა ამ საკითხს სხვანაირად უყურებდა — ეს სისხლის სამართლის დანაშაული და საყოველთაო გაკიცხვის საგანი იყო. ყველაფერმა ამან ცნობიერებაზე გარკვეულია ასახვა ჰპოვა. ამიტომ, ჩემი თაობის ბიჭებში ვერავის მოვძებნი, ვინც არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანით აღფრთოვანებული იყო, მაგრამ მოგვიანებით, კომუნისტური სტერეოტიპი ტრანსფორმირდა...

**— სანდრო, რამე ხმაურიანი თქვი, თორემ ჩამომეძინა...**

— ჩემთვის ლეგბტ თემის ადამიანები ისეთივე მოქალაქეები არიან, როგორიც სხვები და ისეთივე უფლებებით უნდა სარგებლობდნენ, როგორი უფლებებიც სხვებს აქვთ, თუმცა მართლმადიდებელი ვარ და ჩემი რელიგიისთვის ეს მოსაწონი არაა. ჩემთვის მოსაწონი არც ნაცმოძრაობაა, მაგრამ არ ვამბობ, რომ ნაციონალები უნდა დავხვრიტოთ! უბრალოდ, ამ ხალხმა სხვები არ უნდა გაალიზიანონ!

**— ნაციონალებზე გამახსენდა: როგორც მითხრეს, „თავსუფალი თაობის“ უკან შენ დგახარ...**

— (იცინის) არა!

**— თუ გინდა, რომ დაგიჯერო, აბა, გულზე ხელი დაიდე და დაიფიცე!**

— (გულზე ხელს იდებს) აი, ვიფიცები, რომ „თავისუფალ თაობასთან“ ან სხვა რომელიმე ორგანიზაციასთან კავშირი არ მაქვს!

**— არც ლადო სადღობელაშვილს გაუწიე რეკომენდაცია?**

— ლადოს კონსტანტინე გამსახურდიას პარტიიდან ვიცნობ და ვმეგობრობ, მაგრამ ასეთივე მეგობრული ურთიერთობა მაშინდელი „თავისუფლების“ თითქმის ყველა წევრთან მაქვს...

**— თუმცა, თავად კონსტანტინე გამსახურდიასთან არ მეგობრობ...**

— კოკოსთანაც საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა მაქვს, თუმცა ბოლო დროს ერთმანეთს ვერ ვხვდებით...

**— დაიფიცე და დაგიჯერე, მაგრამ „თაობის“ ნაბიჯები შენს ხელწერას ჰგავს — მივარდნა, აყალმაყალი...**

— ხომ გეუბნები, ბავშვს ველოდებოდი, ფოტო გადამიღეს და ერთი ამბავი ატეხეს, „იდენტობის“ ოფისს ათვალიერებსო. სხვათა შორის, „იდენტობის“ წარმომადგენლებთან სოციალურ ქსელში მიმოწერა მაქვს და მითხრეს, იმ ადგილას, სადაც ეს ფოტოა გადაღებული, „იდენტობის“ ოფისი არ არის. მოკლედ, ასე შეიძლება, ნებისმიერი რამ დაგაბრალონ, მაგრამ ადამიანი ყველაფერზე თავისმართლებას ხომ ვერ დაიწყებ?

**— საერთოდ, თავს დამნაშავეები იმართლებენ! სანდრო, შენი იდენტობა, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ნაპოვნი გაქვს?**

— ფილოსოფოსები თვლიან, რომ, თუ საკუთარი თავის პოვნას შეძლებ, უმაღლეს ჭეშმარიტებას ეზიარები. უმაღლეს ჭეშმარიტებას, ჯერჯერობით, ნაზიარები არ ვარ და, თუ ვინმე გეტყვით, რომ საკუთარი თავი შეცნობილი აქვს, ან წმინდანია, ან თაღლითი.

**— გავიგე, რომ ჰომოფობი არ ხარ და დარახველიძემ თავის მოადგილედ ამ ნიშნით არ დაგნიშნა. „ოცნებაში“ ვინ გმფარველობს?**

— ვანო, კარგად იცით, რომ სააკაშვილის ხელისუფლების ოპოზიციაში ვიყავი... დამიჭირეს და სამი თვე ციხეში გავატარე...

**— ციხეში კი იყავი, მაგრამ ცოცხები არ გინახავს!**

— როგორ არ მინახავს!

**— ცოცხი გინახავს?.. ვაიმე, ახლა არ გამაგიჟო...**

— მინახავს, ადამიანებს როგორ აწამებდნენ... აბსოლუტურად გამოგონილი ბრალდებით დამიჭირეს. საერთოდ, ყველას იმას აბრალებდნენ, ვისზეც რას დაიჯერებდნენ. მაგალითად, ჩემზე ადვილად დაიჯერებდნენ, რომ ვიჩხუბე.

**— ამას რა დიდი დაჯერება უნდოდა? — სულ ჩხუბობდი და იარაღით დადიოდი...**

— ნაციონალები პროვოკაციებს ნიჭიერად აწყობდნენ.

**— ესე იგი, აღიარებ, რომ ნაციონალები ნიჭიერები იყვნენ!**

— ბევრ ცუდ საქმეს ნიჭიერად აკეთებდნენ... არსად წერია, რომ ჩხუბისთვის ადამიანს 7 წელი უნდა მისცენ...

**— შენი ჩხუბი ყელში ამოუვიდათ!**

— არ მიჩხუბია! ბავშვი საავადმყოფოდან გამოვიყვანე და, წარმოიდგინეთ, ვიღაც ტიპი, მე, სანდრო ბრეგაძეს, რომელსაც მთელი თბილისი მიცნობს, ქუჩაში ხელს მიქნევს და დედას მაგინებს. მერე, ოთხი კაცი დამესია, მაგრამ ფიზიკურად ძლიერი ვარ და ოთხივე კარგ დღეში ჩავაგდე. სხვათა შორის, ახლა გაირკვა, რომ ოთხივე მაშინდელი შესაბამისი სამსახურის აგენტი იყო... მოკლედ, „კარანტირში ჩამსვეს“.

**— გცემეს?**

— არა.

**— არც „კარანტირის დაშლის“ დროს წამოგარტყეს?**

— გეტყვით...

**— თქვენობით რატომ მელაპარაკები?**

— იმიტომ, რომ ოფიციალური საუბარია.

**— მერე, რა მოხდა? ვის უმალავ, რომ ვმეგობრობთ?**

— კარგი, შენ, ძმაო...

**— აი, ესაა ორმაგი სტანდარტი!**

— „კარანტირში“ რომ ჩამიყვანეს და საკნის კარი გაიღო, დაახლოებით, 4-კვმეტრიან ოთახში 38 ადამიანი და სულ ოთხი საწოლი დავინახე, წყალი არ მოდიოდა, ტუალეტის ქაღალდი არ იყო და სალაფავს იქ ყრიდნენ, სადაც ხალხი ფეხს იბანდა... ერთი ადამიანი მილზე იყო მიბმული — თურმე, ეძინა და რომ არ წაქცეულიყო, ამიტომ მიაბეს... ცემას არ მანახებდნენ და, როცა ცემას იწყებდნენ, „ნადზორი“ მეძახდა, ბრეგაძე, ადვოკატი მოვიდაო — მატყუებდნენ და ე.წ. ფუქსში მივყავდი. უკან, დაახლოებით, ნახევარ საათში მაბრუნებდნენ და თანასაკნელები ნაცემები მხვდებოდნენ. ამას, რა თქმა უნდა,

ვაპროტესტებდი, მაგრამ პატიმრები ისეთი შეშინებულები იყვნენ, არ ამყვნენ. მახსოვს, ერთხელ, შავკანიანი პატიმარი მოიყვანეს. „ნადზორებმა“ ინგლისური არ იცოდნენ და მითხრეს, გაგვარკვიე, რა უნდაო. შავკანიანმა მითხრა, ჩემი უფლებები ირღვევა და საელჩოს წარმომადგენლებს ვითხოვო... „ნადზორებმა“ ეს რომ გაიგეს, ჩაილაპარაკეს, საელჩოს წარმომადგენლებს ვაჩვენებთო და წაიყვანეს, უკან რომ დააბრუნეს, ეს შავი კაცი სისხლისგან მთლიანად წითელი იყო... სხვათა შორის, გლდანის ციხეში სწორედ მაშინ ვიჯექი, როცა ე.წ. კარანტირის დაშლაა გადაღებული... „კარანტირში“ ძალიან დიდხანს გამაჩერეს. ბედუკაძეს ვკითხე, ამდენ ხანს რატომ დამტოვეს-მეთქი და მითხრა, ხელმძღვანელობის ბრძანებააო. ისე, ბედუკაძე, სხვებთან შედარებით, ნორმალურად იქცეოდა... გაუპატიურება ჩემი თვალით არ მინახავს, მაგრამ ხმა გამიგია, როცა ადამიანი ყვიროდა, ნუ მაუპატიურებთო...

**— არ გეშინოდა, რომ შენც გაგაუპატიურებდნენ?**

— ამას პირველად ვიტყვი: იქ რამე ნივთის შეტანა წარმოუდგენელია, მაგრამ დაჭერიდან ორი კვირის შემდეგ, ცუდად გავხდი, ეგონათ, ვკვდებოდი და „კამერაში“ ამიყვანეს. უკვე ნასწავლი მქონდა, რომ კბილის ჯაგრისის გალესვა შეიძლებოდა. ჰოდა, გავლესე და სულ ხელში მეჭირა — საწამებლად რომ მოსულიყვნენ, თავს დავიცავდი!

**— „ნასედკები“ არ მოგიჩინეს?**

— კი, „კამერაში“ რამდენჯერმე შემომიგზავნეს. მაგალითად, 26 მაისი ახლოვდებოდა და ერთმა ლაპარაკი დამიწყო, ჩვენები, ალბათ, მალე მოვლენ და მიშას გადმოაგდებენო, მაგრამ დაბალი დონის „ნასედკები“ იყვნენ და მათი გაშიფვრა ჩემთვის „პინკ-პონკის“ თამაში იყო.

**— ასლან აბაშიძესთან „ნასედკების ინსტიტუტი“ გქონდა გავლილი და რას მოგატყუებდნენ!.. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, 10-ათასიანი საპროცესო გადაიხადე და სამი თვის შემდეგ, გლდანის ციხიდან გამოხვედი, არა?**

— კი... ფსიქოლოგიურად ძალიან შეცვლილი ვიყავი... გირაოს გარდა, ჩემმა უცხოელმა მეგობრებმა — ინგლისის პარლამენტის წევრებმა, რომლებიც პოლიტიკის მეგობრები არ არიან, განაცხადეს, გლდანის ციხესთან, ჩემი გათავისუფლების მოთხოვნით, შიმშილობას დაიწყებდნენ... გარდა იმისა, რომ პირობითი გამომაყოლეს, იმავე დღეს ჩემი დისქმარი დაიჭირეს...

**— სიძე რატომ გაწირე? არ სჯობდა, ციხეში შენ დარჩენილიყავი?**

— არავინ გამიწირავს! ჩემი დისქმარი იმიტომ დაიჭირეს, რომ მისგან, აბსოლუტურად გამოგონილი ბრალდებით, ფულის ამოღებას აპირებდნენ.

**— შენი სიძე სამშენებლო კომპანია „კალასის“ მფლობელი იყო, არა?**

— დიახ...

**— სანდრო, ძალიან გთხოვ, წარბზე თითმიჭერილი ნუ ზიხარ, თორემ ვახტანგ ყოლბაიას გავხარ!**

— რა, ვახტანგი, ცუდი კაცია?.. ისე, მეგონა, მეტყოდი, ილიას გავხარო...

**— ნაციონალებში მეგობრები გყავდა?**

— კი, როგორ არ მყავდა — გიგი წერეთელთან, მიხეილ მაჭავარიანთან, პეტრე ცისკარიშვილთან ვმეგობრობდი...

**— შენ უფრო „მსხვილკალიბრიანები“ დაასახელე. მე მხოლოდ შენი და გია უდესიანის მეგობრობა მქონდა გაგებული...**

— უდესიანს არ ვიცნობ!

**— არა?**

— არა! ვთვლი, რომ გია უდესიანი აუცილებლად დაპატიმრებული უნდა იყოს, რადგან ამ ადამიანმა ჩამოაყალიბა ის ზონდერბრიგადები, რომლებმაც ათასი სისაძაგლე ჩაიდინეს!

**— უდესიანთან ბიზნესკონტაქტიც არასოდეს გქონია?**

— არა!

**— აბა, ეს ხმა რატომ დადის?**

— უდესიანი ყველაზე მეტად მეზიზღება! სხვათა შორის, ეკა ხერხეულიძესთანაც ვმეგობრობდი!

**— ეკა გასაგებია — ორივეს ე.წ. ზვიადისტური წარსული გაქვთ, მაგრამ მაჭავარიანთან რა საერთო გქონდა?**

— პარლამენტში წლები ერთად ვიყავით, თუმცა ურთიერთობა მანამდეც მქონდა — მაჭავარიანი ჩემი თანასკოლელია... გიგი წერეთელთანაც ნორმალური ურთიერთობა მქონდა...

**— რატომ არ „განაცდი“?**

— ვფიქრობ, „განაცებით“ საკრალური შეცდომა თავად დაუშვეს. სულ ვეუბნებოდი, ამ გიჟს ნუ აყვებით-მეთქი, მაგრამ აყვნენ. სხვათა შორის, რომა კუსიანსა და გია ჯაყელთან, რომელიც გარდაიცვალა, კარგი ურთიერთობა მქონდა.

**— რომასთან დღესაც ხომ მეგობრობ?**

— დიახ.

**— ჰოდა, ამბობენ, რომ „თავისუფალ თაობას“ სწორედ შენ და რომა კურირებთ...**

— კარგი, რა, რა „თავისუფალი თაობა“, რა ზღაპრებს ყვები!.. ვანო, უდესიანთან მეგობრობაზე დიდი შეურაცხყოფა არავის მოუყენებია! ჩვენი დაუძინებელი მტერი იყო და დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთ ყველაზე დიდ შეცდომად იმას ვთვლი, რომ უდესიანი უცხოეთში თავისუფლად დადის! ვინც უდესიანთან საქმეს დაიჭერს, საკუთარი ოჯახის წევრიც რომ იყოს, ჩემთვის მიუღებელია! „საკნების აქციების“ დროს, უდესიანმა და ბასიშვილმა ყურდატეხილი გორილები მოიყვანეს და ადამიანებს იტაცებდნენ და აწამებდნენ.

**— სანდრო, მაინც, სახელმწიფო მოხელე ხარ და კორექტულად!**

— გამახსენდა, რომ „საკნების აქციის“ დროს, უდესიანი, ბასიშვილი და „ოცნებასთან“ კოჰაბირიტირებული ხაჩირიშვილი მოვიდნენ და...

**— ეჰ, რამდენი ასეთი კოჰაბირიტირებული გყავთ, აი, თუნდაც საგარეო საქმეთა მინისტრი...**



— ბერუჩაშვილი დიპლომატია და მიღებული პრაქტიკაა, დიპლომატი რამდენიმე ხელისუფლებაში მოღვაწეობდეს... საერთოდ, ჩემს და, ალბათ, შენს მეგობრებშიც არის განწყობა, რატომ არაა ყველა დაჭერილი, მაგრამ ამ კითხვაზე ლოგიკური პასუხია, რომელშიც რაციონალური მარცვალს ვპოულობ — ჩვენმა ხელისუფლებამაც, სააკაშვილის მსგავსად, დაპატიმრებები რომ დაიწყოს...

**— კაცო, დაპატიმრებას კი არა, ხალხი იმას ითხოვს, „მამალი“ ნაციონალები თანამდებობებზე აღარ დაინიშნონ!**

— ყველაფერს გარკვეული დრო სჭირდება...

**— სანდრო, წეღან ხაზი გაუსვი, რომ ხელისუფლებისგან ტელევიზიები არ კონტროლდება, მაგრამ ხელისუფალი რომ ხარ, ნება იბოძე და, ტელევიზიაში რეკლამა მიიტანე!**

— ბედნიერი ვარ, რომ ხელისუფლება „საზოგადოებრივ მაუწყებელსაც“ არ აკონტროლებს.

**— ისე, კანონსაწინააღმდეგოა, დამოუკიდებელმა მედიამ ფული თუნდაც ნაცებისგან რომ აიღოს?**

— როცა ფულს ოფიციალურად, რეკლამის სახით იღებს, პრობლემა არაა, მაგრამ როცა ე.წ. შავი ფულია...

**— ხელისუფლება დაამტკიცებს, რომ რომელიმე ტელევიზია „შავ ფულს“ იღებს?**

— დამოუკიდებელ ტელევიზიას უფლება არ აქვს, საინფორმაციო ბადე სიმპათია-ანტიპათიის მიხედვით შეადგინოს!

**— შემომჩივლე, ორიოდ დღის წინ, საინგილოში ვიყავი, მაგრამ არავინ გააშუქაო... აღიარე, რომ „ოცნების“ პიარი „მარილზეა“...**

— ამ თემაზე ხომ არ გეკამათები? ვაღიარებ: ქვეყანაში საკმაოდ ბევრი რამაა გაკეთებული, მაგრამ წარმოჩენა არ ხდება! პიარი ჩვენი ხელისუფლების აქილევსის ქუსლია! ნაცმოძრაობის ყველაზე ძლიერი მხარე კი პიარი იყო! სხვათა შორის, ბევრი ადამიანი დღესაც წყალს ნაცმოძრაობის წისქვილზე ასხამს და ამიტომაა, რომ ვნერვიულობ!

**— ნერვიულობა ჯანმრთელობისთვის ცუდია — უფრო გასუქდები!**

— ბევრს ის არ უნახავს, რაც მე მაქვს ნანახი — იცი, რომ ბავშვობიდან პოლიტიკაში ვარ: დავიწყოთ ზვიად გამსახურდიადან, რომელსაც, რა თქმა უნდა, რუსები ებრძოდნენ, მაგრამ ყველაფერს, რაც მოხდა, ხელი საკადრო პოლიტიკამაც შეუწყო!

**— ჰოდა, თუ იცოდი, რომ ზვიადი რუსებმა დაღუპეს, რუსეთუმე ასლან აბაშიძესთან რაღას წახვედი?**

— მუხრან მაჭავარიანსა და ვახტანგ ბოჭორიშვილთან წავედი!

**— ისინი წამოვიდნენ, შენ კი დარჩი!**

— როგორ გეკადრება!

**— გამახსენდა: „აღორძინებიდან“ რომ წამოხვედი, თარგამაძემ და ვილაცებმა ქუთაისში „რაზბორკა“ მოგიწყვეს, არა?**

— არა!.. ერთადერთი ანკლავი, სადაც „ზვიადისტები“ პუტჩისტებისგან თავს აფარებდნენ, აჭარა იყო. ჩემი ერთადერთი მიზანი ის გახლდათ, პრეზიდენტის მკვლელი შევარდნაძის წინააღმდეგ მებრძოლა...

**— ცხონებული შევარდნაძისთვის გამსახურდიას მკვლელობა სასამართლოს არ დაუმტკიცებია!**

— ამის დამტკიცებას არავინ ინდომებს!.. ნაღდად არ ვიცოდი, ასლან აბაშიძეს ურთიერთობა ვის რუსთან ჰქონდა, თან ე.წ. ზვიადისტების საქმიანობაში აქტიურად არ ერეოდა...

**— ასლანის „ლუბიმჩიკი“ იყავი...**

— (იღიმება) „ლუბიმჩიკები“ სხვები იყვნენ... მოკლედ, 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე წელიწადნახევრით ადრე, როცა შევარდნაძე-აბაშიძის ალიანსი გაცხადდა, ამ ადამიანთან ჩავედი და პატიოსნად ვუთხარი, იქ, სადაც მხარს შევარდნაძეს უჭერენ, ვერ ვიქნები-მეთქი. იგივე უთხრა მუხრან მაჭავარიანმა, ზურაბ ქაფიანიძემ და კიდევ რამდენიმე ადამიანმა.

რაც შეეხება რუსეთუმეობას, 1989 წლის 9 აპრილს თავი რომ გავანებოთ, მთავრობის სახლში ნაბრძოლი ვარ, როცა ბეპაევი გვესროდა, მერე, ბალტინის ჯარებმა გადაგვიარეს და ძალიანაც რომ მინდოდეს, მათი მხარდამჭერი ვერ გავხდები! ისე, ჩემი მხრიდან არავაჟკაცურად ჩავთვლი, აბაშიძეზე ცუდი რომ ვთქვა! ბედნიერი ვარ, 17 წლისაც ზვიად გამსახურდიას მომხრე ვიყავი, 25 წლისაც, 35 წლისაც და ვიდრე ცოცხალი ვიქნები, სულ ზვიად გამსახურდიას გზით ვივლი! იცი, კიტოვანი და სიგუა ჩემთვის ჯაბა იოსელიანზე ბევრად საზიზღრები რატომ არიან? — იმიტომ, რომ ჯაბა ზვიად გამსახურდიასთან არასოდეს ყოფილა, მაგრამ როცა ერთუჯრედიან ადამიანებს პრემიერ და თავდაცვის მინისტრებად აყენებ და პირველები ისინი გესვრიან, ამაზე დიდი უბედურება არ არსებობს!

**— პრინციპში, გეთანხმები, თუმცა „ოცნების“ ხელისუფლებამ კიტოვანს კარტ ბლანში მისცა...**

— რაში გამოიხატება?

**— ბოლოს და ბოლოს, უცნობი მხატვარი იარაღის დაკანონებას ითხოვს!**

— გიჟი კიკაც ბევრ რამეს ითხოვდა, მაგრამ 21-ე საუკუნეში სიგიჟეა, კიტოვანის ბიჭებს ვინმემ იარაღი დაუკანონოს, ან გგონია, ამ მოთხოვნას ხელისუფლებაში ვინმე სერიოზულად უყურებს?!

**— სანდრო, გულწრფელად მითხარი, ასლანი რამდენს გიხდიდა?**

— პარლამენტში ხელფასი 550 ლარი მქონდა...

**— ხელფასზე არ გეკითხები...**

— ასლანი მეც იმდენს მიხდიდა, რამდენსაც მუხრანს, მაგრამ არც მუხრანს უხდიდა, არც ვახტანგ ბოჭორიშვილს და არც სხვას. ყველაფერი ეს მითია. ასლანი არავის რომ არაფერს უხდიდა, საქართველოდან ამიტომაც გაიქცა!

**— მოდას კი არ მიყვებოდი, ხანდახან ასწრებდი კიდეც და 550 ლარი გყოფნიდა?**

— ბიძაჩემი, რომელსაც ბიზნესი ჰქონდა, თვეში 1200-დან 1500 დოლარამდე მაძლევდა!

**— ფული ახლა გაქვს?**

— განვადებით მაცივარი მაქვს გამოტანილი და ყოველთვე 300 ლარს ვიხდი; ოჯახი თურქეთში დასასვენებლად იყო და ამაშიც, თვეში, სამასი ლარი მაქვს გადასახდელი. ერთი თვის ხელფასი კი, წინასწარ მაქვს აღებული!

**— ხელფასი რამდენი გაქვს?**

— 1 900 ლარი.

**— პრემია და დანამატი?**

— არ მაქვს! ჩვენთან არც მინისტრს აქვს!

**— ბოლოს, სანდრო, ორიოდ სიტყვით სამინისტროზეც მითხარი და მოვრჩეთ...**

— ნაციონალები ამ სამინისტროს, არჩევნების დროს, ხმებისთვის იყენებდნენ, დანარჩენ დროს კი, „გრიალებდნენ“. ახლა, დიასპორებთან ურთიერთობა რეალურად გვაქვს — მინისტრი თურქეთში იმყოფებოდა, სადაც საინტერესო შეხვედრები გამართა. მე კი, საინგილოში ვიყავი, სადაც დიპლომატიურად რომ ვთქვა, გარკვეული ბარიერი არსებობს და უნდა გადავლახოთ. არადა, ამ ხალხს პატრიოტიზმი გამძაფრებული აქვს. ფერეიდანშიც ვაპირებთ ჩასვლას. ძველი მინისტრები ამ ქვეყნებში კი არა, მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში დადიოდნენ, სადაც სულ სამი ქართველი ცხოვრობს...

პატიმარი №0578

**რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, როცა ციხეში ზის, ათ წელზე მეტი აქვს მისჯილი და ამავდროულად, იცის, რომ ამ სასჯელიდან ერთ დღესაც არავინ აპატიებს ანუ „ატ ზვანკა, დო ზვანკა“ უნდა მოიხადოს? — პირველი რიგში, თავის გადარჩენაზე უნდა იფიქროს და კიდევ იმაზე, როგორ გაიხალისოს ყოველდღიური ერთფეროვნება, რათა არ გაგიჟდეს. გასახალისებლად კი ერთადერთი გზა არსებობს — სხვას უნდა ავნო და თავი იმით დაიმშვიდო, რომ ის სხვაც (უდიდესი ნაწილი მაინც) ზუსტად ისეთივე კრიმინალია, როგორიც შენ და „ისეთ გალიაში ზის, როგორი ჩიტიც არის“...**

# იეზიდი „ჩაპალა“ და „კაიბიჭობაზე“ მეოცნებე „მალალეტკები“ ანუ „ვეფხისტყაოსანმა“ რა ჰქმნა?!



რუსთავის №17 ზონაზე „მალალეტკებიდან“ ორი პატიმარი მოიყვანეს. „ვზროსლებში“ მოხვედრილი ბავშვები საკუთარი ადგილის პოვნას ცდილობდნენ. მოყვანიდან მესამე დღეს, ორივეს თავის საკანში პატიმარმა №0578-მა უხმო, ნარზე დასვა, სახელები ჰკითხა და მერე მშვიდად დაიწყო ვაშლის გათლა. დანა ზონაზე ყავის თუნუქის ქილებიდან კეთდებოდა და ვაშლის გასათლელად და პურის დასაჭრელად ნამდვილად გამოსადეგი იყო. „მალალეტკები“ პატიმარს ჩუმად უყურებდნენ, ის კი უხმოდ თლიდა ვაშლს, ჭრიდა და თეფშზე აწყობდა. როცა თეფში გაივსო, მასპინძელმა თაფლი გამოიღო, ვაშლს ზემოდან მოასხა, ბიჭებს პლასტმასის ჩანგლები მისცა და ანიშნა, ჭამეთო. ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

„ჭამეთ, ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. თქვენთვის ახლა ვიტამინებია საჭირო და სიგარეტს რომ აკვდებით, ეცადეთ, ხილი ჭამოთ. თქვენებსაც უთხარით, ხილი მოგიტანონ ხოლმე ამ ლამაზი „შმოტკების“ ნაცვლად. და კიდევ, თუ ვინმემ რამე გითხრათ, ჩემთან ამოიყვანეთ, პასუხს მე გავცემ. შეეცადეთ, 2-3 თვე მაინც შარში არ გაეხვიოთ, შემდეგ, უკვე აზრზე მოხვალთ და მიხვდებით, რა და როგორ“, — უთხრა №0578-მა.

„მომისმინე, ბრატ! ჩვენ აზრზე მოსულებიც ვართ, ყველაფერი გვესმის და „მალალეტკებივით“ ნუ გველაპარაკები, უკვე „ვზროსლებში“ გადმოვედით და ჩვენც ისე მოგვეკითხება, როგორც თქვენ. რაც შეეხება შარს და ვინმეს აქ ამოყვანას, ჩვენ ვიცით, სად სხედან მაყურებლები და, თუ რამე მოხდება, იქ მივალთ“, — უთხრა დიტომ, რომელიც „მალალეტკების“ ზონაზე კორპუსის მაყურებელი იყო და ამით ძალიან ამაყობდა. ბიჭებმა ვაშლს პირი არ დააკარეს და საკნიდან უხმოდ გავიდნენ.

ამ ამბიდან ერთ კვირაში, №0578-თან მოხუცი სანდრო ამოვიდა. ბიჭები, ხუმრობით, ძია ისიდორეს ეძახდნენ და არა მსგავსების გამო, არამედ იმიტომ, რომ ცნობილი პერსონაჟისდარად, სანდროც სიძის მკვლელობისთვის იჯდა.

„შვილო, დაღუპავს იმ ბიჭებს „ჩაპალა“. გუშინწინ დაიწყო და უსრულებს. იმათ კიდევ უხარიათ და ყოყლოჩინობენ. მაყურებლებთან ვიყავი და არ ჩაერიოო, მითხრეს. ახლა შენთან მოვედი, დაღუპავენ-მეთქი, დაღუპავენ“, — ჩუმად თქვა სანდრომ.

„რა მოხდა, ძია ისიდორე, ვინ ბიჭებს?!“ — გაეღიმა №0578-ს.

„აი, ისინი, შენ რომ ვაშლსა და თაფლზე ხელი გიკრეს“, — უთხრა მოსულმა.

„ჯერ ერთი, შენ რა იცი, რაზე მიკრეს ხელი და მეორეც, რას აკეთებს „ჩაპალა“? — მოიღრუბლა პატიმარი.

„შენგან რომ ჩამოვიდნენ, მთელი ღამე იმას ჰყვებოდნენ, ვიღაც პატიმარმა ჭკუის დარიგება დაგვიწყო, ვაშლი თავის ხელით გაგვითალა, მაგრამ როდის იყო, კაიბიჭებს ასეთები ეშლებოდათო, თან თვითონ კაიბიჭი არ არის, პატიოსანი კაცია და ჩვენთან „ნა რავნე“ ვერ დგასო. მივხვდი, შენზე რომ ამბობდნენ და გული დამეწვა, არ იცნობენ აქაურობას ეგენი. „ჩაპალამ“ კიდევ, გუშინწინ, დილით რომ გაიღვიძა, ბიჭებს უთხრა, გუშინ დამესიზმრა, რომ თქვენთან ყომარში ასი დოლარი წავაგე, სიზმარში წაგებულიც არ მინდა თავნად და ამიტომ, თქვენებს უთხარით, ამა და ამ ნომერზე დარეკონ, ჩემი ძმა შეხვდება და ას დოლარს მისცემსო. მართლა დარეკეს ამ შტერებმა და „ჩაპალას“ ძმას ამათიანებმა ასი დოლარი გამოართვეს. გუშინ გაიღვიძა „ჩაპალამ“ და თითქოს გაბრაზებულმა თქვა, ისევ დამესიზმრეთ, ორასი დოლარი წავაგე, იგივე ნომერზე დაარეკინეთ თქვენებსო და ის ორასიც ჩაიბარეს ამ შტერმა ბავშვებმა. ხვდები ხო, საითკენ მიყავს?!“ — მოყოლა დაასრულა სანდრომ.

პატიმარი №0578 მაშინვე წამოხტა და საკნიდან გავარდა. ჯერ მაყურებლების კამერას მიაშურა, მაგრამ იქ რომ არავინ დახვდა, პირდაპირ „ჩაპალას“ დაადგა. იეზიდ პატიმარს მშვიდად ეძინა და, როგორც წესი, ამ დროს „არესტანტის“ შეწუხება არ შეიძლება. მიუხედავად ამისა, №0578-მა „ჩაპალა“ შეანჯღრია.

„წყალი შეისხი სახეზე, გაიღვიძე, საქმე მაქვს“, — შეუღრინა „ჩაპალას“.

ისიც მშვიდად ადგა, სახე ჩამოიბანა და ვიდრე №0578 რამეს იტყოდა, თავად ჰკითხა: „სვაბოდაზე გავდივარ, ძმა?!“

„არა“, — უპასუხა №0578-მა.

„აქ მაყურებლებს ვერ ვხედავ ანუ არც რაზბორკაა სადმე და სანამ რამეს მეტყვი, ამიხსენი, რატომ შემაწუხე. შენ არ იცი, როცა არესტანტი ისვენებს, შეწუხება არ შეიძლება?! ახსენი-მეთქი, თორემ დაგაყენებ და დილამდე გიტყაპუნებ“, — იყვირა „ჩაპალამ“.

პატიმარს გაეღიმა — „ჩაპალამ“ ერთი შეცდომაც კი არ დაუშვა, არ თქვა, მეძინაო, რადგან ციხეში კაიბიჭებს არ სძინავთ, ისინი ისვენებენ. იმასაც კარგად მიხვდა, რომ გალმა შედავებით „ჩაპალა“ ცდილობდა, აქცენტი სხვა თემაზე გადაეტანა, რადგან №0578-ის ვიზიტის მიზეზს კარგად ხვდებოდა და ისიც იცოდა, მის სტუმარს ვერც დააყენებდა და ვერც დილამდე უტყაპუნებდა.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად... გაიგე, ბიჭო?!“ — ჩუმად უთხრა №0578-მა.

იეზიდმა „ჩაპალამ“ პირი დააღო და ასევე, ჩუმად იკითხა: „რა მითხარი?!“

„ჰოდა, ქართული რომ არ გესმის, ქურდულად გეტყვი. რაც გითხარი, იმას ხსნის, რატომ გაგაღვიძე, მაგრამ ეგ მერე, ახლა კი ის მითხარი, იმ ბავშვებს რას ერჩი?!“ — თემა შეცვალა პატიმარმა.

„მე რას ვერჩი, ტო? სიზმარს ვნახულობ, იმათ ვუყვები, მიჯერებენ და თავანს იბარებენ. რა არის ამაში ცუდი?!“ — ირონიულად გაეღიმა „ჩაპალას“ და კამერაში ბიჭებიც შემოვიდნენ. პატიმარმა №0578-მა ორივე წინ დაისვა და უღრიალა: „რომ გითხარით, ჩემთან მოდით ნებისმიერ რამეზე, შარში არ გაეხვიოთ-თქო, რატომ არ დამიჯერეთ?!“

ბიჭები ჯერ დაიბნენ, მერე კი დიტო აყვირდა: „შენ რა ნერვებს მაჩვენებ, ბიჭო?! რამე ხომ არ გეშლება?! კაიბიჭი ვარ და ვიღაც პეხოტას არ ვაყვირებ, გაიგე?! ჩემი ცხოვრება მაქვს და პასუხსაც ვაგებ და ახლა დაახვიე აქედან, თორემ მაყურებლებთან მიგიყვან და თითოეულ ასოზე მოგთხოვ პასუხს“, — დიტომ კამერას ამაყად მოავლო თვალი.

„ჩაპალას“ სიამოვნებისგან გაეღიმა. პატიმარი №0578 მას მიუბრუნდა და ჩუმად ჰკითხა: „სიზმარი კიდევ როდის უნდა ნახო?!“

„აბა, რა ვიცი, ძმას ვენაცვალე, ბოლო დროს ძალიან შემომეჩვია და სულ ეს ბიჭები მესიზმრებიან. ხვალ ან ზეგ დამესიზმრებიან, გული მიგრძნობს“, — ჩაიხითხითა „ჩაპალამ“ და პატიმარი კამერიდან უხმოდ გავიდა.

ორი დღის შემდეგ, საკნის კარი ისევ სანდრომ შეაღო, ნარზე ჩამოჯდა, №0578-ს შეხედა და ჩუმად თქვა: „ახალი სიზმარი ამ დილით ნახა „ჩაპალამ“. ბიჭებს უკვე უთხრა. ორივე ნარზე წევს და ცრემლი სდის, ვუთხარი, ამოსულიყვნენ და არაო. დაღუპა იმ ნაბიჭვარმა ორი ანგელოზივით ბავშვი“.

„რამდენი?!“ — ჩუმად იკითხა №0578-მა.

„ათი ათასი. დილით გამოაცხადა, დამესიზმრა, ისევ ვყომარობდით და ათი ათასი მოგიგეთო. დაურეკეთ თქვენებს, იმ ნომერზე დარეკონ, აქამდე რომ რეკავდნენ და ჩააბარონო. ვადა ხვალ დილამდე მისცა. იცის, არ არიან ეს ბავშვები ათი ათასის მშოვნელები და ორივე ან კაზლიატნიკში წავა, ან სხვა ზონაზე. მაყურებლებთანაც ვერ მიდიან, რა უნდა უთხრან?!“, — დაასრულა მონოლოგი მოხუცმა.

№0578 უხმოდ წამოდგა და მაყურებლების კამერაში ჩავიდა.

„იცით, რაც ხდება, თავიდანვე იცოდით და დაიკიდეთ. არ დაგითმობთ იმ ბავშვებს, ცხოვრება წინ აქვთ, ოთხ-ოთხი წელი აქვთ სარკის მოპარვაზე და ვიღაც „ჩაპალას“ გამო ყველაფერს კარგავენ. ასე არ გამოვა“, — ჩუმად თქვა პატიმარმა.

„და ჩვენ რა ვქნათ? უკვე გათავნულები არიან, რომც აპატიოს „ჩაპალამ“, კი იცი შენ, მაგათი კაიბიჭობა უკვე „პად ვაპროსამ“ არის და სულ ასე იქნება. თავის დროზე უნდა ეფიქრათ“, — მშვიდად უპასუხეს მაყურებლებმა.

„ამ ათი ათასიდან ოცი პროცენტი ქურდული საერთოსია. სწორედ ამ ორი ათასს მიიტანენ სადაც ეტყვით, „ჩაპალას“ იმ თავის სამას დოლარს დაუბრუნებენ და „დაარასხოდეთ“. როგორ და რა ფორმით, თქვენ მოიფიქრეთ“, — უთხრა №0578-მა.

„შენ მოიფიქრე, აბა, როგორი მოსაფიქრებელია. კაცს რვა ათასზე უნდა ვათქმევინოთ უარი და რატომ, რისთვის?! ეს ხომ უნდა აუხსნას ვინმემ“, — გაეღიმათ მაყურებლებს.

„ბალნიჩკაზე ოცამდე ავადმყოფი პატიმარი წევს. დაახლოებით, ხუთასი ლარის წამლებს შემოაგზავნინებენ იმათთვის და თქვან იმ პატიმრებმა, რომ ეს წამლები რვა ათასად ულირთ და ეგ იქნება. ორი ათასს კი ქეშად მისცემენ ვინმეს გარეთ. „ბალნიჩკაზე“ „გიჩოც“ წევს, იმას ვეტყვი და გამიგებს. „ჩაპალაც“ ვერ გადაახტება „გიჩოს“ და ესენიც გამოძვრებიან. მერე კი, მე გაძლევთ პირობას, არაფერშიღა გაერევიან, მაგრამ თქვენ უნდა დამპირდეთ, რომ ამ ამბავს არავინ გაუხსენებს და არ წამოაძახებს“, — უთხრა №0578-მა.

მაყურებლებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე ერთმა თქვა, ამის დედა ტერეზობამ ხომ მოგვკლაო და ფურცელზე ტელეფონის ნომერი დაწერა: „ამ ნომერზე დარეკონ, ხვალ, დილით ორი ათასი ჩააბარონ, „ჩაპალა“ აქ მოვიდეს და „გიჩოს“ ჯერ შენ დაელაპარაკე, მერე ჩვენ ვეტყვით სათქმელს“.

№0578 მაყურებლების საკნიდან გავიდა, „ჩაპალას“ კამერაში შევიდა, არხეინად წამოწოლილ „ჩაპალას“ მიუგდო, მაყურებლები გეძახიანო, მერე კი ბიჭებს მიუბრუნდა და თვალით ანიშნა, გამომყევითო. ორივე მაშინვე წამოხტა და მორჩილად გაჰყვა.

„ჩაპალას“ ძმასთან დაარეკინეთ თქვენებს და ის სამასი დოლარი დაუბრუნეთ, მერე, როგორც გინდათ და რანაირადაც გინდათ, ხვალ ამ ნომერზე დარეკონ თქვენმა ძმაკაცებმა და ორი ათასი მიიტანონ, ორშაბათისთვის კი „ბალნიჩკაზე“ ხუთასლარიანი გრევი უნდა გაკეთდეს. მედიკამენტების სიას საღამოს მოგცემთ“, — აუხსნა №0578-მა.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს. პატარა ფული ორი ათასიც არ იყო, მაგრამ სხვა საშველი არ ჩანდა და მაშინვე ტელეფონებისკენ გაიქცნენ. №0578 კი „ბალნიჩკის“ მაყურებლის, „გიჩოს“ სანახავად წავიდა.

„გადამრევ რა, შენ, ბოზისშვილი ვიყო, გადამრევ. ვინ გკითხავს, რა გინდა... რა პატარა ბიჭები?! პატარა ვიცი ბაღში, აქ ზონაა, ძმაო. შენ თუ ყველას ასე სდიე, სად წახვალ, იცი?! დაიკიდე რა, დაიკიდე. რა ხუთასი ლარის წამალი მიღირს რვა ათასად?! გინდა, დავრეკო და რვა ათასის მედიკამენტები ერთ საათში მოვატანინო?! შეეშვი, რა ამ უტვინოებს. ბავშვობიდანვე ასეთი ხარ, არ გეკითხება, მაინც ეკვეტები“, — ბავშვობის მეგობარს „გიჩო“ ღიმილით ტუქსავდა.

„ეს ბოლოა ან ბოლოს წინა“, — გაეღიმა №0578-ს, „გიჩოს“ მალე გამოჯანმრთელება უსურვა და ზონაზე დაბრუნდა.

მეორე დღეს ყველაფერი დალაგდა: ბიჭებმა ფულის შოვნა მოახერხეს და „ბალნიჩკაზეც“ სიცხის დამწევი, ანტიბიოტიკები და სხვა წამლები შევიდა.

***

„ყველაფერი ეს კარგი, მაგრამ ის უნდა გამიმეორო, რაც იმ დღეს მითხარი, რომ გამაღვიძე“, — „ჩაპალა“ №0578-ს კამერაში დაადგა.

პატიმარი ღიმილით წამოდგა, ტუმბოზე ათეულობით წიგნიდან ერთი გამოარჩია, კალამი მოიმარჯვა და წააწერა: „კარგ იეზიდს, ნაღდ კაცს და კაიბიჭ „ჩაპალას“ პატიმარ №0578-სგან“. მერე წიგნი გაუწოდა და უთხრა: „ეს ვეფხისტყაოსანია“, „ჩაპალ“, წაიკითხე და იმასაც აქ იპოვი, რაც გითხარი. ასეთი რამ არც აქამდე დაწერილა და არც მომავალში დაიწერება“. „ჩაპალამ“ წიგნი უხმოდ გამოართვა და გავიდა. სამი დღის შემდეგ, იეზიდი პატიმარ №0578-ს ისევ გამოეცხადა და გაოცებულმა უთხრა: „ეგ რა მომეცი, ტო, ვკითხულობ და ვერაფერი გავიგე. ქართული არ მცოდნია, რა. სხვებს რომ ვეკითხები, არც იმათ იციან. მაგის მოფიქრება და დაწერა არ გინდა, ტო?!“

***

მიმდინარე წელს თავისუფლებაზე მყოფი „ჩაპალა“ გულის შეტევით გარდაიცვალა. იმ ბიჭებიდან კი, რომლებიც იმ ინციდენტის შემდეგ №0578-ს გვერდიდან არ შორდებოდნენ, ერთი თავისუფლებაზეა და თურქეთში ჯინსების ქარხანაში მუშაობს, მეორე, დიტო კი, ზუსტად ოთხი თვის წინ ტრაგიკულად დაიღუპა.

ვერსიანიუსი

## პოლიციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო




შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული დავით ჩ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და ზურგჩანთის ჩხრეკისას ამოიღეს სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები, რომლებიც ექსპერტიზის დასკვნით: 0,2243 გრ კანაფის ფისს, 0,2312 გრ ნარკოტიკულ ნივთიერება მდმა-ს (3,4-მეთილენდიოქსიმეტამფეტამინს), 17,05 გრ ნარკოტიკულ საშუალება პსილოციბინს წარმოადგენს, ასევე ამოღებულია 4,7344 გრ ნარკოტიკული ნივთიერება კათინის (ნორფსევდოეფედრინის) შემცველი 2 აბი და 3 ნატეხი, 1,2 გრ გამომშრალი მარიხუანა და 6 ცალი ორცხობილა, რომელიც ნარკოტიკულ საშუალება ტეტრაჰიდროკანაბინოლს შეიცავს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა აღნიშნული ნარკოტიკები ნიდერლანდის სამეფოდან შემოიტანა. ნარკოლოგიური შემოწმებით დადგინდა, რომ დავით ჩ. დაკავებისას ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-2 ნაწილის და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით).

*„ვერსიანიუსი“*

# დასაქმების შანსი „ვისოლ ჯგუფისგან“




„ვისოლ ჯგუფი“ ტრადიციას არ ღალატობს — სტუდენტებს დასაქმების შანსს აძლევს. ამ მიზნით, კომპანიის წარმომადგენლებმა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსში, დასაქმების ფორუმი მოაწყვეს. ფორუმში მონაწილე სტუდენტებს, „ვისოლ ჯგუფის“ შვილობილ კომპანიებში: „ვისოლში“, „სმარტში“, „ვენდისში“, „დანკინ დონატსში“ და „ვიანორში“ სტაჟირების გავლის შანსიც ეძლევათ.

თუმცა, მხოლოდ ეს როდია — სტუდენტებმა, კომპანიის დამფუძნებლებისა და სხვა პროფესიონალებისგან მასტერკლასებიც მოისმინეს.

„ვისოლ ჯგუფის“ დასაქმების ფორუმის პირველივე დღეს, სამსახურის დაწყების მსურველმა არაერთმა სტუდენტმა მოიყარა თავი. მათ, „ვისოლ ჯგუფის“ კადრების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა წარმატებული გასაუბრებისა თუ დასაქმებისათვის პრაქტიკული რეკომენდაციებიც გაუწია და ისიც აუწყა, რომ დაგეგმილი კონკურსის გამარჯვებული სტუდენტები „ვისოლ ჯგუფის“ შვილობილ კომპანიებში გაივლიან სტაჟირებას. პარალელურად, „ვისოლ ჯგუფი“ სასწავლო სტიპენდიას გამოყოფს ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის“ ერთი სტუდენტისთვის.

„ვისოლის“ დასაქმების ფორუმი სტუდენტებისთვის უცხო არაა. შარშანაც, მსგავს ღონისძიებაში, უამრავი ახალგაზრდა ჩაერთო. რამდენიმე ათეული, „ვისოლის“ შვილობილ კომპანიაში დასაქმდა და დღემდე მუშაობს. ასეთია გიორგი თორიკიშვილი — დღეს „ვისოლისა“ და „ვიანორის“ მარკეტინგის ასისტენტის სტატუსისმქონემ, კომპანიაში მუშაობა სწორედ „ვისოლის“ დასაქმების ფორუმში მონაწილეობის შემდეგ დაიწყო. **გიორგი თორიკიშვილი: „ჩემი ისტორია „ვისოლში“ ზუსტად ერთი წლის წინ, ზუსტად ამ დარბაზიდან დაიწყო, როდესაც დავრეგისტრირდი „ვისოლ ჯგუფის“ მიერ ორგანიზებულ სტუდენტური დასაქმების ფორუმზე. სიმართლე გითხრათ, დასაქმების დიდი იმედი არ მქონდა. ფორმუმზე მოსვლის ძირითადი მიზანი იყო დავსწრებოდი „ვისოლ ჯგუფის“ მენეჯმენტის მასტერკლასებს. თუმცა, ჩემი ეს მცირე იმედი გამართლდა. დღეს „ვისოლ ჯგუფის“ დიდი ოჯახის ერთ-ერთი წევრი ვარ, რაც ძალიან მეამაყება. ვიმედოვნებ, კომპანიის იმედს აუცილებლად გავამართლებ. დარწმუნებული ვარ, ერთი წლის შემდეგ, ფორუმზე მყოფი ბევრი სტუდენტი მოყვება თავისი წარმატების ისტორიას იგივე განწყობით, რა განწყობაც ახლა მაქვს“.**

გიორგი თორიკიშვილის პროგნოზი გამართლდება, რადგან „ვისოლ ჯგუფი“ შვილობილი კომპანიების ობიექტების ქსელს მუდმივად აფართოებს და შესაბამისად, ახალ კადრებზე მოთხოვნაც იზრდება, რასაც ადასტურებს, „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტი **სოსო ფხაკაძე: „ვისოლ ჯგუფის განვითარების ტემპების პროპორციულად იზრდება მოთხოვნა პროფესიონალ კადრებზე. მოხარულები ვართ, რომ საშუალება გვაქვს, საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების გამორჩეულ სტუდენტებს მივცეთ დასაქმების შესაძლებლობა „ვისოლ ჯგუფის“ შვილობილ კომპანიებში. შარშან დასაქმების ფორუმის შემდგომ, 300-მა ადამიანმა გაიარა ჩვენთან სტაჟირება. წელს 2000 ადმიანია დარეგისტრირებული. გვიხარია, რომ ამდენად დიდია ინტერესი. ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა, ბევრი სამუშაო ადგილის შექმნა და მეტი ადამიანის დასაქმებაა. „ვისოლ ჯგუფის“ კორპორაციული კულტურა ითვალისწინებს, რომ კომპანიის წარმატების ისტორიას თითოეული თანამშრომელი ქმნის. შესაბამისად, ვთვლით, რომ წარჩინებული სტუდენტები შესაძლებლობების გამოვლენას სრულად შეძლებენ ისეთ წარმატებულ ბიზნესკომპანიაში, როგორიც „ვისოლ ჯგუფია“. გვჯერა, მათთან ერთად შევქმნით უკეთეს მომავალს“.**

„ვისოლ ჯგუფის“ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, რუსუდან სანიკიძის განმარტებით, კომპანია მომავალშიც არაერთ ახალგაზრდას მისცემს დასაქმების შანსს. **რუსუდან სანიკიძე: „აქტიურად ვთანამშრომლობთ წამყვან უნივერსიტეტებთან. სტუდენტების შერჩევისას ვითვალისწინებთ მათ აკადემიურ შედეგებს, მოსწრებას, ფაკულტეტს. პირველი ფორუმის ფარგლებში ჩვენს ჯგუფში 300-მდე სტუდუნტს ვუმასპინძლეთ. მათგან უმრავლესობამ სტაჟირების პროგრამა გაიარა, ხოლო 100-მდე სტუდენტს მივეცით დასაქმების შანსი „ვენდისსა“ და „სმარტში“. სტაჟირების პროგრამა 3-6 თვე გრძელდება და წლის განმავლობაში სხვადასხვა ეტაპად მიმდინარეობს“.**

დღეს საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ დამსაქმებელ კომპანია „ვისოლში“ 5000-მდე თანამშრომელი მუშაობს. „ვისოლ ჯგუფი“ თითოეულ მათგანს თანაბრად აძლევს განვითარებისა და შესაძლებლობების გამოვლენას საშუალებას. სწორედ ამიტომ, კომპანიამ 2011 წელს ჩამოაყალიბა „ვისოლ ჯგუფის“ აკადემია, სადაც ჯგუფის ნებისმიერ თანამშრომელს საშუალება აქვს აიმაღლოს კვალიფიკაცია, ახალი კომპეტენციები შეიძინოს და დაწინაურდეს.

***ნინო ლურსმანაშვილი***

პრეზენტაცია

# „სიცოცხლის ხის“ თანადაფინანსებით საქართველოში ჟესტების პირველი ონლაინლექსიკონი და ვებგვერდი შეიქმნა




ფონდ „სიცოცხლის ხის“ თანადაფინანსებით განხორციელებული ახალი პროექტი, ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვებისა და მათი მშობლებისთვის, ნამდვილი სიურპრიზია — პირველად საქართველოში, 500-სიტყვიანი ჟესტური ონლაინლექსიკონი და ვებგვერდი შეიქმნა. ამ დრომდე, საქართველოში არ არსებობდა რესურსი, რომლის მეშვეობითაც, ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვები შეისწავლიდნენ ქართულ და ჟესტების ენას. საქართველოში პირველი ჟესტური ონლაინლექსიკონი „საქართველოს ყრუთა კავშირმა“ შექმნა, ფონდ „სიცოცხლის ხის“ პირველი საგრანტო კონკურსის ფარგლებში.

პირველი ჟესტური ონლაინლექსიკონი სკოლამდელი ბავშვებისთვისაა. მასში არსებული სიტყვებით, საქართველოში მცხოვრები სმენის პრობლემების მქონე ბავშვები, მათი მშობლები, ოჯახის წევრები და ინკლუზიური სკოლები, შეძლებენ, ერთად დაეუფლონ ჟესტურ ენას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) ბავშვებმა კი ისწავლონ როგორც სალაპარაკო, ასევე ჟესტური ენა. „სიცოცხლის ხის“ დირექტორის, თორნიკე გურულის განმარტებით, ამიერიდან, შშმ ბავშვებს, ენის არცოდნის გამო, სრულ იზოლაციაში ყოფნა აღარ მოუწევთ.

**თორნიკე გურული: „ჟესტური ლექსიკონის საშუალებით, შშმ ბავშვების მშობლებს მათთან კომუნიკაცია გაუადვილდებათ, რადგან ჟესტურ ენას დაეუფლებიან. ფონდმა „სიცოცხლის ხემ“, პარტნიორ „ყრუთა კავშირთან“ ერთად, შექმნა პირველი ქართული ონლაინლექსიკონი, რომლითაც ბავშვებს საშუალება ეძლევათ ისწავლონ ჟესტური ენა, მიიღონ განათლება და მეტად შეძლონ ინტეგრაცია საზოგადოებაში. ამ საკითხზე მუშაობისას, ავიღეთ, 500 საბაზო სიტყვა, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია ელემენტარული კომუნიკაციისთვის და ლექსიკონი ამ სიტყვებისგან შევქმენით. ვებგვერდზე ყველა სიტყვა ვიდეოებითაა განმარტებული. ბავშვებთან ურთიერთობის გასამარტივებლად, ეს პროექტი მნიშვნელოვანია იმ სოფლების მასწავლებლებისთვის, სადაც სპეციალური სკოლები არაა და ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვები საჯარო სკოლებში სწავლობენ. ლექსიკონი ყველასთვის ხელმისაწვდომია — შევქმენით სპეციალური ვებგვერდი — www. geodeaf.ge, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია შევიდეს და ნახოს თითოეული სიტყვა. აქვეა შექმნილი თემატური კატალოგები, სიტყვის ადვილად საპოვნელად“.**

ჟესტური ონლაინლექსიკონის შექმნა ძალიან მნიშვნელოვანი რომაა, „ყრუთა და სმენადაქვეითებულთა კავშირის“ თანათავმჯდომარე **მაია თოფურიაც** ადასტურებს. მისი თქმით, ამ ვებგვერდისა და ონლაინლექსიკონის შექმნის დღე ისტორიულია: **„ეს ისტორიული დღეა საქართველოსთვის — შეიქმნა სპეციალური ლექსიკონი ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანებისთვის, მათი ოჯახის წევრებისთვის. მშობლებს შესაძლებლობა აქვთ გაესაუბრონ შვილებს, ისწავლონ მათი მშობლიური — ჟესტური ენა. რაც შეეხება ონლაინლექსიკონს, ესაა სისტემა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია, თემატურად და ანბანურად დალაგებული ლექსიკის ქართულიდან ჟესტურ ენაზე შესწავლა. ასევე პირველად შეიქმნა ვებგვერდი, სადაც ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციები განთავსდა, რომელიც ადაპირებულია ქართული ჟესტური ენის დახმარებით“.**

ჟესტური ენის პედაგოგმა, **ნათია ჯაფოშვილმა** კი, უფრო დეტალურად ახსნა, როგორ დაეხმარება ჟესტური ლექსიკონი ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვებს: **„ჟესტური ლექსიკონი და ვებგვერდი მნიშვნელოვანია საჭირო ინფორმაციის მიწოდებისთვის. შშმ ბავშვს ინფორმაციის ათვისებაში სწორედ ჟესტი ეხმარება. ბავშვის განვითარება თუ ადრეულად არ დაიწყო და არის შეფერხებები, იწყება ტვინის დეგრადაცია. ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვიც ისევე უნდა განვითარდეს, როგორც ამ პრობლემის არმქონე. რა თქმა უნდა, 500 სიტყვა საკმარისი არ არის, მაგრამ განვითარების გზაზე ვართ და დარწმუნებული ვარ, უფრო წინ წავალთ“.**

ფონდმა „სიცოცხლის ხემ“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მხარდასაჭერად მიმდინარე წელს ორი საგრანტო კონკურსი ჩაატარა, რომელთა ფარგლებში დააფინანსა 24 პროექტი და 500 ათას ლარზე მეტი გამოყო. პროექტების ნაწილი უკვე განხორციელდა, ხოლო ნაწილი მიმდინარეობს. საგრანტო კონკურსის ყველა გამარჯვებულ პროექტს, ზრუნვისა და კეთილი საქმეების კეთების სიმბოლო — „სიცოცხლის ხის“ სტატუსი ენიჭება.

***ნინო ლურსმანაშვილი***

1. ევროპული ხალხური ზღაპარი
2. ქართული მინერალური წყალი
3. წუთის 1/60 ნაწილი
4. იგივეა, რაც ზუთხი
5. ტროპიკული ხვიარა მცენარე
6. მხარე იმერეთში
7. ორქიდეას აღმოსავლური სახელწოდება
8. ოდისევსის შვილის აღმზრდელი
9. ურთიერთთავდებობა მაფიაში
10. ექსკურსიამ-ძღოლი იტალიაში
11. ნოემბერი ქართული წარმართული კალენდრით
12. დიდი ფრანგი მოქანდაკე
13. რომეოს და ჯულიეტას ქალაქი
14. რბილი დივანი, რომელსაც თავსა და ბოლოში მუთაქები აქვს
15. სომხეთის ქალაქ ვაღარშაპატის ყოფილი სახელწოდ.
16. ტარზანის მაიმუნის სახელი
17. საარქივო დოკუმენტების მცველი
18. აღტაცების გამომხატველი შეძახილი იტალიაში
19. გაფრთხილება ძიუდოში
20. გადაბრუნებული ბერძნული ასო დელტა
21. ყოფილი ქართული საესტრადო კოლექტივი
22. (ძვ.) გამოსავალი, უნარი
23. სოფელი ონის რაიონში
24. ბადმინტონის „ბურთი“
25. შუამარბი ფეხბურთში
26. მიზანში სროლაში სავარჯიშო დაწესებულება
27. სამშობლოდან გაძევება
28. ჰოლივუდის ვარსკვლავი
29. ლეო დელიბის ოპერა
30. ინდური რელიგიურფილოსოფიური მოძღვრება
31. არაბული მრავალღეროვანი ფლეიტა
32. „უჟასების“ მეფედ წოდებული ამერიკელი მწერალი
33. სპეც. დანიშნულების პატარა სათავსი
34. კანის ინფექციურ-პარაზიტული დაავადება
35. საჭმლის შესაკაზმი მწვანილი
36. ინგლისელი მწერალი ივლინ ...
37. ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი
38. დავით კლდიაშვილის მოთხრობა „ ... მორბელაძე“
39. ინდონეზიის კუნძული, რომელზეც ქვეყნის დედაქალაქი მდებარეობს
40. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი
41. ქალაქი კახეთის მხარეში
42. მარტის ძველქართული სახელწოდება
43. ნაპოლეონ ბონაპარტეს მშობლიური ქალაქი
44. შლიმანის მიერ აღმოჩენილი ქალაქი
45. ებრაელის ბიბლიური სახელწოდება
46. ობობას სინონიმი
47. სასტუმროს მსახური ბიჭი
48. ჩინური წარმოშობის ჰოლივუდის მსახიობი
49. ქართული პოეზიის დედოფლის სახელი
50. დიდი მუწუკი
51. იგივეა, რაც ფარჩა
52. კომკავშირის აბრევიატურა
53. ფუტკრების და კრაზანების შიში
54. ილია ჭავჭავაძის ლიტერატ. ყაჩაღი
55. მსახიობი ... ტაილერი
56. ქრისტეს გამყიდველი
57. მიკროს ანტონიმი
58. ძელის ღობე
59. საფრანგეთის ყოფილი ვალუტა
60. ჰოლივუდის მსახიობი ... ბროსნანი
61. წილი საერთო ბიზნესში
62. გასართობი წარმოდგენა, სპექტაკლი
63. ყოფილი არგენტინელი ფეხბურთელი
64. ამერიკული მრავალჯერადი გამოყ. კოსმ. ხომალდი
65. იაპონელთა ეროვნული სასმელი
66. იაპონელთა უძველესი რელიგია
67. ავთვისებიანი დაავადება
68. სამი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
69. ტანზე მჭიდროდ მომდგარი სპორტ. კოსტიუმი
70. კავკასიელ მამაკაცთა ტრადიციული სამოსი
71. ზარანდიას სახელი „დათა თუთაშხიაში“
72. აზელილი ბოსტნეულისგან მომზადებული საჭმელი
73. ერთ-ერთი უმსხვილესი სამხრეთ კორეული სამრეწველო-ფინანსური ჯგუფი
74. თმის მცენარეული საღებავი
75. დიდი ტროპიკული ფრინველი
76. იგივეა, რაც სასულე
77. მდინარე სანკტ-პეტერბურგში
78. (ძვ.) შუაცეცხლის თავზე ამოჭრილი ადგილი
79. მკრთალი შუქის რკალი მთვარის ირგვლივ
80. სასიგნალო ტივტივა წყალზე
81. ილიას გამზრდელი მამიდის სახელი
82. მოგრძოდ წამოზიდული გორა
83. ფრანგი ფეხბურთელი ... ანრი
84. ახალზელანდიური უფრთო ფრინველი
85. III ნოტი
86. ინდოეთის შტატი
87. მოზამბიკის დედაქალაქი
88. იგივეა, რაც წლოვანება
89. პოლონელი ფანტასტი მწერალი სტანისლავ ...





# „დანაშაული“ და „სასჯელი“ ბოთლებში

დოსტოევსკის ფსიქოლოგიური პროზა, ტრადიციულად, დიდი პოპულარობითა და პატივისცემით სარგებლობს ამერიკის შეერთებულ შტატებში. როგორც ჩანს, დიდი რუსი მწერლის ნაწარმოებებმა გავლენა მოახდინა ლუდსახარშ Stone Brewing-ის წარმომადგენლებზეც და ჩამოასხეს ლუდი. თუმცა, გააცალკევეს თავიანთი „დანაშაული“ და „სასჯელი“ და ქარვისფერი სასმელის ორი სახეობა შექმნეს. ის სხვადასხვა ბოთლებით იყიდება, მაგრამ ერთად უნდა მიირთვათ, გარკვეული თანმიმდევრობით. ახალი ლუდის ავტორთა აზრით, სასმელი სწორედ მითითებული წესით უნდა — ჯერ „დანაშაული“, მუქი არომატული ნაძვი ჩილით, შემდეგ კი „სასჯელი“, ისეთივე მუქი ფერის ნაძვი, მაგრამ წიწაკის ყველაზე მწვავე ჯიშებზე დაყენებული, რაც ლუდს საოცარ გემოს სძენს და „კბილის მოჭრის“ ეფექტიც გარანტირებულია. ორივე ლუდი სპეციალურ, მუხის კასრებში ისხმება, როგორშიც ჩვეულებრივ ამერიკულ ბურბონს აყენებენ, ხოლმე. ეს ქაფიან სასმელს რბილ და განსაკუთრებულ გემოს სძენს.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | 9 | | | | | |
| 9 | | | 8 | | | | 6 | |
| 6 | | | | 2 | | 9 | | 4 |
| | | 2 | 1 | | | 4 | | |
| | 7 | | | | | | 3 | |
| | | 8 | | | 9 | 5 | | |
| 1 | | 5 | | 3 | | | | 8 |
| | 2 | | | | 6 | | | 3 |
| | | | | | 8 | | 1 | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 5 | 9 | | | | |
| | | 6 | | | 4 | | | 5 |
| | | 7 | | | | 4 | | 3 |
| 3 | 8 | | | 6 | | | | 4 |
| | | | 8 | | 1 | | | |
| 2 | | | | 3 | | | 5 | 8 |
| 1 | | 3 | | | | 5 | | |
| 9 | | | 6 | | | 3 | | |
| | | | | 2 | 5 | | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 5 | | | | | | | 7 |
| | 4 | | 3 | | | 2 | | |
| 2 | | | | 7 | 6 | | | |
| | | | | 9 | | 6 | 8 | |
| | | 5 | | | | 9 | | |
| | 7 | 4 | | 6 | | | | |
| | | | 8 | 3 | | | | 9 |
| | | 7 | | | 1 | | 3 | |
| 4 | | | | | | | 5 | 1 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | 6 | | | | | |
| | 9 | | | 1 | | | 5 | 3 |
| | 4 | | 9 | 3 | | | 2 | |
| 1 | | | | 2 | | | | |
| | 2 | 9 | | | | 3 | 4 | |
| | | | | 6 | | | | 5 |
| | 6 | | | 4 | 8 | | 7 | |
| 8 | 1 | | | 9 | | | 3 | |
| | | | | | 3 | | 6 | |



## ვეგეტარიანელობა ფსიქიკურ აშლილობას მიაკუთვნეს

ჯანდაცვის მსოფლიოს ორგანიზაციამ ფსიქიკურ დაავადებათა და აშლილობათა ის ჩამონათვალი გააფართოვა, რაც ექიმი-ფსიქიატრის მკურნალობას ექვემდებარება. სიაში საკვების უმად ჭამა და ვეგეტარიანელობა შევიდა, რომელიც ჩვევებისა და ლტოლვის აშლილობათა ჯგუფში შეიყვანეს. ექიმებისთვის ამ დიეტის აშლილობათა ჩამონათვალში შეყვანის არგუმენტი ის ფაქტი გახდა, რაც ესპანეთში მოხდა. ქალაქ მალაგაში უმი საკვების მოყვარულმა ოჯახმა, ამ მკაცრი დიეტით შვილები კომამდე მიიყვანა. ბავშვების გადარჩენა მხოლოდ მეზობლების მიერ დროულად გამოძახებული სასწრაფოს წყალობით გახდა შესაძლებელი. მშობლები კი იძულებით სამკურნალოდ გააგზავნეს ფსიქიატრიულ კლინიკაში და შვილების ნახვა აუკრძალეს. ამის მიუხედავად, ამერიკელი დიეტოლოგების ასოციაცია არ იზიარებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ასეთ რადიკალურ მოსაზრებას. ისინი მიიჩნევენ, რომ სწორად დაბალანსებული დიეტისას ვეგეტარიანელობა ადამიანის ჯანმრთელობას სარგებელს მოუტანს და ორგანიზმს საჭირო ელემენტებს მიაწვდის.

## საშხაპე მიუსაფართათვის

რომის პაპის ნებართვით, ვატიკანის ცენტრში, წმინდა პეტრეს მოედანზე სამი უფასო საშხაპე დადგეს უსახლკარო ადამიანებისთვის, რომელიც საზოგადოებრივ ტუალეტში განათავსეს და მალე ამოქმედდება. რომის მასშტაბით კი, კიდევ ათი საშხაპე დადგეს სხვადასხვა ეკლესიის ეზოში. ეს ინიციატივა ერთ-ერთ „ბომჟს“ ეკუთვნის, რომელიც ათ წელზე მეტია, ქუჩაში ცხოვრობს, გასულ თვეს იგი ერთ-ერთმა არქიეპისკოპოსმა ვახშამზე დაპატიჟა. „ბომჟმა“ უარი თქმა ამ მიწვევაზე, ცუდი სუნი ამდისო. მისი თქმით, ქალაქში საკვების შოვნა არ არის რთული, მაგრამ დასაბანი ადგილები არსადაა. არქიეპისკოპოსმა ეს ამბავი რომის პაპს მოახსენა, რომელმაც საშხაპეების დადგმა წმინდა პეტრეს მოედანზევე ბრძანა.



## „მსოფლიო რეკორდი“ კლინიკურ სიკვდილში



არც ისე ახალგაზრდა მშობიარე ფლორიდიდან ცოცხალი გადარჩა გულის გაჩერების შემდეგ, რომელიც 45 წუთს გაგრძელდა. მეცნიერები ვერ ახერხებენ, ახსნა მოუძებნონ ამ მოვლენას, რომელიც კლინიკა Boca Raton Regional Hospital-ში მოხდა. 40 წლის ქალის გადარჩენაში მონაწილე გამოცდილი გინეკოლოგები და რეანიმატოლოგები ვერ ხსნიან, როგორ მოხდა, რომ პაციენტის ტვინი არ დაზიანდა, როცა გული 45 წუთი უკვე აღარ ძგერდა. გართულებები საკეისრო კვეთას მოჰყვა, რომლის დროსაც ქალს გული გაუჩერდა. ექიმებმა დეფიბრილაციას მიმართეს, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო. მხოლოდ მას შემდეგ, რაც რეანიმატოლოგებმა შეწყვიტეს ძალისხმევა და უკვე აპირებდნენ, მშობიარეს მეუღლისთვის სამწუხარო ამბავი ეცნობებინათ, აპარატურამ პაციენტის პულსი დააფიქსირა. ამით „სასწაული“ არ დასრულდა — „მკვდრეთით აღმდგარი“ ქალის საგულდაგულო გამოკვლევისას სპეციალისტებმა თავის ტვინზე ვერავითარი დაზიანება ვერ აღმოაჩინეს. როგორც ცნობილია, გულის გაჩერების შემდეგ შინაგანი ორგანოები ჟანგბადის შიმშილის გამო ზიანდება. 5-6 წუთის შემდეგ ტვინის სიკვდილიც დგება.

## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 1 | 9 | 4 | 8 | 7 | 6 | 5 | 3 |
| 5 | 8 | 7 | 3 | 1 | 6 | 9 | 2 | 4 |
| 6 | 4 | 3 | 9 | 2 | 5 | 8 | 1 | 7 |
| 9 | 7 | 5 | 6 | 4 | 2 | 1 | 3 | 8 |
| 4 | 3 | 1 | 5 | 9 | 8 | 7 | 6 | 2 |
| 8 | 2 | 6 | 1 | 7 | 3 | 5 | 4 | 9 |
| 3 | 9 | 2 | 8 | 6 | 1 | 4 | 7 | 5 |
| 7 | 6 | 8 | 2 | 5 | 4 | 3 | 9 | 1 |
| 1 | 5 | 4 | 7 | 3 | 9 | 2 | 8 | 6 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 1 | 2 | 5 | 4 | 3 | 9 | 8 | 6 |
| 8 | 9 | 6 | 2 | 1 | 7 | 5 | 4 | 3 |
| 5 | 4 | 3 | 9 | 8 | 6 | 2 | 1 | 7 |
| 6 | 3 | 4 | 1 | 7 | 2 | 8 | 5 | 9 |
| 2 | 5 | 1 | 3 | 9 | 8 | 7 | 6 | 4 |
| 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 |
| 4 | 2 | 9 | 7 | 6 | 5 | 1 | 3 | 8 |
| 3 | 7 | 8 | 4 | 2 | 1 | 6 | 9 | 5 |
| 1 | 6 | 5 | 8 | 3 | 9 | 4 | 7 | 2 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 3 | 2 | 8 | 9 | 4 | 7 | 6 | 5 | 1 |
| 9 | 1 | 7 | 8 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 |
| 2 | 8 | 6 | 4 | 7 | 3 | 5 | 1 | 9 |
| 4 | 9 | 5 | 2 | 1 | 6 | 8 | 7 | 3 |
| 1 | 7 | 3 | 5 | 9 | 8 | 2 | 6 | 4 |
| 8 | 5 | 2 | 1 | 3 | 4 | 7 | 9 | 6 |
| 7 | 4 | 1 | 6 | 8 | 9 | 3 | 2 | 5 |
| 6 | 3 | 9 | 7 | 5 | 2 | 1 | 4 | 8 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 4 | 3 | 7 | 2 | 1 | 9 | 6 | 5 |
| 6 | 2 | 1 | 8 | 5 | 9 | 7 | 4 | 3 |
| 7 | 9 | 5 | 6 | 4 | 3 | 8 | 2 | 1 |
| 3 | 1 | 6 | 5 | 7 | 2 | 4 | 9 | 8 |
| 4 | 5 | 2 | 9 | 6 | 8 | 3 | 1 | 7 |
| 9 | 7 | 8 | 1 | 3 | 4 | 2 | 5 | 6 |
| 2 | 8 | 7 | 4 | 1 | 6 | 5 | 3 | 9 |
| 5 | 6 | 4 | 3 | 9 | 7 | 1 | 8 | 2 |
| 1 | 3 | 9 | 2 | 8 | 5 | 6 | 7 | 4 |

მე-10 გვერდი: 1. უნგრეთი; 2. ნესესერი; 3. რენკლოდი; 4. თონე; 5. ტვიტერი; 6. ვაზელინი; 7. ტრაქტორი; 8. რადა; 9. ქსენონი; 10. უტევანი; 11. იპოქონდრია; 12. აკვალანგი; 13. აზგარდი; 14. ონასისი; 15. იგავი; 16. თაფლი; 17. კაპოტე; 18. არგონი; 19. ასული; 20. ფლოტი; 21. ვასაკა; 22. ქსი; 23. ანარა; 24. „ლევისი“; 25. კრედო; 26. არქივი; 27. „კადილაკი“; 28. ოსანა; 29. ბაო; 30. იაიკი; 31. ლიბიდო; 32. ევიტა; 33. ევა; 34. აკიდო; 35. ესავი; 36. ბებია; 37. ნინია; 38. ბის; 39. ფიდე; 40. ოსი; 41. ტირი; 42. მეტრიკა; 43. იადონი; 44. არამისი; 45. ოვალი; 46. პაიკი; 47. ფაუ; 48. გირი; 49. ასი; 50. ირი; 51. არე; 52. ბია; 53. იო; 54. მადონა; 55. და; 56. უნია; 57. პა; 58. არიფი; 59. კასპი; 60. ტირადა; 61. ოდოია; 62. სირ.

# ოთარ თოქმაჯიშვილის გახსენება



ძნელია შეეგუო ძვირფასი ადამიანის არყოფნას, ადამიანის, რომელიც თავისი სიცოცხლით ავსებდა და ალამაზებდა გარშემომყოფთა ცხოვრებას. მუდამ ცდილობდა, სიხარული მიენიჭებინა ყველასთვის და ბავშვივით ხარობდა სხვათა წარმატებით.

უკვე 5 წელია შენი გაკეთებული კეთილი საქმეები გვიხალისებს ცხოვრებას და გვივსებს შენი არყოფნით გამოწვეულ სიცარიელეს. გვჯერა, რომ სიკვდილს იქეთ კიდევ უფრო დიდი სიცოცხლეა, თუკი მთესველი კეთილ თესლს დარგავს.

ნათელში იყოს შენი სული!

*შენი მეუღლე, შვილები, შვილიშვილები*

# ზამთარში მუშაობა ფსიქიკას ვნებს

ბევრი ადამიანი ზამთარში სამსახურში გათენებამდე მიდის, შინ კი დაღამებისას ბრუნდება. რეჟიმს, რომელსაც მზის სინათლის ნაკლებობა ახლავს, სერიოზული ფსიქიკური პრობლემების გამოწვევა შეუძლია, — ამტკიცებენ ბრიტანული ორგანიზაცია Mental Health Research UK-ის სპეციალისტები. მათი განცხადებით, თუ ადამიანი ყოველდღიურად საჭირო რაოდენობით მზის სინათლეს არ იღებს, მას დეპრესია და აპათია უვითარდება. ამან კი შეიძლება სეზონური ფსიქიკური აშლილობა გამოიწვიოს. კვლევის მონაწილეთა 50% შეშფოთებული იყო იმით, რომ სამუშაო ადგილზე ბუნებრივი განათების არასაკმარისი წყარო ჰქონდა, ხოლო ყოველი მეათე ბუნებრივ განათებას საერთოდ მოკლებული იყო. მეცნიერები დამსაქმებლებს მოუწოდებენ, ოფისებში, სადაც ცუდი განათებაა, სინათლის დამატებითი წყაროები დაამონტაჟონ. გარდა ამისა, სწავლულებმა ისიც გაარკვიეს, რომ ზამთრის ყველაზე მძიმე დღე იანვრის მესამე ორშაბათია. ამას ცუდი ამინდის ეფექტი, წინა წლიდან გამოყოლილი ვალი და მოტივაციის დაქვეითებაც ერთვის.



## გართობა



1. ტროას უკანასკნელი დედოფალი
2. ტრადიციული იაპონური თეატრის ერთ-ერთი სახეობა
3. ზიმბაბვეს დედაქალაქი
4. იაპონელთა ტრადიციული სამოსი
5. საჯარიმო შაიბა ჰოკეიში
6. კაბარეებში პოპულარ. ცეკვა
7. საერთაშ. გამოფენა ყოველ ორ წელიწადში
8. სუბტროპიკული ხვიარა მცენარე
9. ბგერის მრავალჯერ სწრაფად გამ. მუსიკაში
10. უძველესი ქვეყანა აზიაში
11. მკურნალ. ღმერთი რომ. მითოლოგ.
12. ქართული ღვინის მარკა
13. რჩევა, დარიგება შთამომავლობას
14. ფეხბურთის სახელწოდ. იტალიაში
15. ძვ. ფრანგული საბალო ცეკვა
16. თავის ქალის უკანა ნაწილი
17. ტროპიკული ხე, რომლის თესლისგანაც ამზადებენ შოკოლადს
18. სიყვარულის ღმერთი ბერძნულ მითოლოგ.
19. იგივეა, რაც ქუჩის ხერგილი
20. ლომი სიმბას ცოლი
21. „თეთრი ოქრო“
22. თამარ მეფის დედა
23. მდინარე ყვარელში
24. წმინდანის გამოსახულება
25. კავალერისტი უნგრული ფორმით
26. ხელოვნურად ნარგავი ტყე
27. ნაბიჯი ბალეტში
28. ბეთჰოვენის ერთადერთი ოპერა
29. მწვავე ინფექციური დაავადება
30. ჯოან როულინგის ჯადოქარი
31. ცენტრალური მცველი ფეხბურთში
32. მაკედონიის რესპუბლიკის დედაქალაქი
33. იაპონ. მწერალი ქენძაბურო ...
34. ჰოლივ. მსახიობი ... ჰეთუეი
35. მუხის ნაყოფი
36. ჰუნების ბელადი
37. სუსტი ქარი, ნიავი
38. სამკურნალო მცენარე
39. ეკატერინე ჭავჭავაძის ფრანგი სიძე აშილ ...
40. ქალაქი ირანში
41. (ძვ.) ჯარი, ლაშქარი
42. თმის მცენარეული საღებავი
43. ინდიელთა კვანძოვანი დამწერლობა
44. ყურანის ცალკეული თავი
45. ტბა იტალიაში
46. ფუტკრის სახლი
47. სპორტული ნავი
48. ზევსის ბებია
49. ძროხის „ნობათი“
50. იგივეა, რაც არენდა
51. დიდი ფოჩებიანი შალი
52. მაიმუნის ჯიში
53. საქართ. ვალუტა
54. ყაზახი მწერალი ... კუნანბაევი
55. ვაჟას „ბახტრიონის“ პერსონაჟი
56. საბჭოთა ილუზიონისტი
57. ფარნავაზის მტერი
58. მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო
59. პერსევსის დედა


# ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მეღიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.